პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совета депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 164 (10861)
შაბათი
13
ივლისი
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში. ქარხანა „ჩკდ-სტალინგრადში“. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ქარხანა „ჩკდ-სტალინგრადში“ 1957 წლის 11 ივლისს (1-ლი გვერდი).

ოქტომბრის გზაზე. — საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა მასებისათვის (მე-2 გვერდი).

დიდი ოქტომბრის მონაპოვარი. — თ. გეგელია. — საქართველო „თეთრი ნახშირის“ რესპუბლიკაა (მე-2 გვერდი).

მოსავლის აღების ფრონტზე. — მ. ხეთაგური. — დაწინაურდა კომბაინერ მაისურაძის აგრეგატი (მე-2 გვერდი).

მეცნიერება და ტექნიკა (მე-2 გვერდი).

სარედაქციო ფოსტიდან. **ლ. შელია.** — მშრომელთა კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად. **ა. კოკილაშვილი.** — ის, რაც ხელს გვიშლის საყოფაცხოვრებო მშენებლობაში. **გ. პაპიძე.** — სამეცნიერო სესია ჩინელ სპეციალისტთა მონაწილეობით. **გ. სამხარაძე.** — ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენისათვის (მე-3 გვერდი).

გ. ძნელაძე. — ფესტივალის ლაურეატები (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში

ქარხანა „ჩკდ—სტალინგრადში“

ПРАГА, 11 ივლისი. (საკავშირო სპეც. კორ.). დღეს დილით საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ესტუმრა პრაღის ერთ-ერთი უდიდესი ქარხნის „ჩკდ-სტალინგრადის“ მუშებს.

ქარხანა და ჭუჩები, რომლებიც მას აკრავს, სადღესასწაულოდ მორთულია საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ალმებით. საბჭოთა დელეგაციის მოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ქარხანაში მოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები.

საბჭოთა დელეგაციის წევრები გულთბილად მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, დირექტორს, პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარესა და ქარხნის კოლექტივის სხვა ხელმძღვანელებს. დამსწრეთა ტაშის გრიალში საბჭოთა დელეგაციის წევრები შედიან საწარმოო სამეჩროებში.

დელეგაცია ჩერდება ბრიგადასთან, რომელიც რემონტს უკეთებს გენერატორის როტორს. ქარხნის დირექტორი ამხ. ბაიერი უამბობს დელეგაციის წევრებს, რომ გენერატორების წარმოება მიმდინარეობს უმთავრესად ჩეხოსლოვაკიის საკუთარი საჭიროებებისათვის, მაგრამ ამ სახეობის პროდუქციის ნაწილი — დაახლოებით 13-16 პროცენტი იგზავნება საბჭოთა კავშირში.

— ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილაში“ თქვენი მუშები ან ინჟინრები ყოფილან? — ეკითხება ამხ. ხრუშჩოვი.

ამხ. ბაიერი ამხ. ხრუშჩოვს უამბობს, რომ ქარხნის სპეციალისტი ინჟინრები და მუშები იყვნენ ლენინგრადის ამ ცნობილ საწარმოში და ბევრი რამ საინტერესო გადმოიღეს იქ ყოფნის შედეგად.

ამხ. ხრუშჩოვი: იქ ახლა უკვე აკეთებენ 250 ათასი კილოვატი სიმძლავრის გენერატორებს, მზადდება 310 ათასი კილოვატი სიმძლავრის გენერატორების წარმოება.

ამხ. ბაიერი ამბობს, რომ ყველაზე დიდი გენერატორის სიმძლავრე, რომელიც ქარხანაში მზადდება, 50 ათასი კილოვატია.

ბულგანინი: ამათი საკონსტრუქტორო განყოფილება უკვე მუშაობს 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის გენერატორების პროექტებზე.

ხრუშჩოვი: საჭიროა დავიწყოთ აზრების, გამოცდილების ურთიერთგაზიარება. 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის გენერატორების კონსტრუქციის პრობლემა ხომ უკვე გადაჭრილია. საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა, რათა არ გაიმეოროთ ის გზა, რომელიც გავლილია სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში.

— მე ვიტყოდი, ამხ. ხრუშჩოვ, — ამბობს ქარხნის დირექტორი, — რომ ჩვენში ვითარდება თანამშრომლობა.

ხრუშჩოვი: საჭიროა უფრო ძლიერ განავითაროთ იგი.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრები, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები, ქარხნის ხელმძღვანელები და ქარხნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მიტინგზე გაემართნენ.

მიტინგი გახსნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კოლბაბამ. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს მეზობელი ქარხნის „ჩკდ-სოკოლოვოს“ წარმომადგენელმა ო. ვლაზმა და ქარხანა „ჩკდ-სტალინგრადის“ დირექტორმა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატმა ი. ბაიერმა, პრაღის რაიონულ ეროვნულ კომიტეტთან არსებული ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. პლეციტამ.**

მიტინგზე ერთიანი სიტყვა წარმოთქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც მუშები გულთბილად შეხვდნენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა*

ქარხანა „ჩკდ-სტალინგრადში“ 1957 წლის 11 ივლისს

ძვირფასო ამხანაგებო, ქალაქ პრაღის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებო, ინჟინერ-ტექნიკურო მუშაკებო და მოსამსახურეებო!

ჩვენთვის ძლიერ სასიამოვნოა ყოფნა თქვენს ქარხანაში, რომელიც ატარებს გმირი სტალინგრადის ქებულ სახელს, და მოგესალმოთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი მუშათა კლასის სახელით გადმოგცემთ თქვენ, ხოლო თქვენი სახით მოძმე ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასს, ყველა მშრომელს უაღრესად გულითად სალამს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, შეძახილები „ვაშა“!).**

ადგერ უკვე მესამე დღეა, რაც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სტუმართმოყვარე ჩეხოსლოვაკიაში იმყოფება. თვით საზღვრიდან ყველგან ვხვდებით განსაკუთრებით გულთბილ მიღებას. როგორც მეგობრულ ოჯახში საყვარელ ძმას ხვდებიან, ისე ხვდებიან ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ჩვენს საბჭოთა დელეგაციას. სიტყვები არ გვყოფნის, რომ გადმოვთქვათ ჩვენი სიხარული და დიდი მადლობა ასეთი მიღებისათვის, ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებთან მგრძნობიარე შეხვედრისათვის.

ეს არის გავეცანით თქვენს შესანიშნავ ქარხანას, ვიყავით მის ზოგიერთ ძირითად საამქროში, ვესაუბრეთ მუშებს, ინჟინრებს, თქვენს ხელმძღვანელებს. აქაც მეტად გულთბილად მოგვესალმნენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ თქვენი მოსალმება გვეკუთვნის არა მარტო ჩვენ, დელეგაციის წევრებს. არა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თქვენი მისალმებით გამოიხატება სიყვარული და დიდი პატივისცემა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისადმი, ყველა მშრომელისადმი, გამარჯვებული სოციალიზმის დიდი ქვეყნისადმი, რომლის წარმოგზავნელები და მსახურები ჩვენ ვართ.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობის ფესვები საუკუნეთა სიღრმეშია გადგმული. ამ მეგობრობამ გამოიარა მკაცრი განსაცდელი, მაგრამ არასოდეს არ დაჩრდილულა ურთიერთმტრობით.

ევროპის შიგ ცენტრშია თქვენი ქვეყანა. და მისი მოსახლეობა მშვიდობისმოყვარეა. სლოვაკები და ჩეხები არასოდეს და არავის არ შესევიან დასაპყრობად. პირიქით, ისინი საუკუნეთა მანძილზე თვითონ იყვნენ სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა გამანადგურებელი თარეშის ობიექტი. და არა მარტო ხალხის ოფლით, არამედ ცხელი სისხლით არის მორწყული თქვენი ქვეყნის ყოველი კუთხე, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ხალხებმა გააცოცხლეს და დაუცხრომელი შრომით დაამშვენეს.

ჩეხოსლოვაკიას დიდხანს ჯიჯგნიდნენ უცხოელი მჩაგვრელები. ტევტონი რაინდები, ავსტრია-უნგრეთის ბარონები, გერმანელი მილიტარისტები და სხვა დამპყრობნი ცდილობდნენ სამუდამოდ დამკვიდრებულიყვნენ თქვენს ქვეყანაში. მიუხედავად საუკუნეობით მათი ბატონობისა, თქვენს ხალხს არასოდეს არ შეუწყვეტია ბრძოლა თავისი ეროვნული დარსებისათვის. ხალხის გულში მუდამ ღვიოდა თავისუფლების ანთება ცეცხლი, იმის დიდი რწმენა, რომ ჩეხოსლოვაკია თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნებოდა.

და როცა 40 წლის წინათ მთელი ძველი სამყარო შეარყია დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, როცა რუსეთში წარმოიშვა მშრომელთა სოციალისტური სახელმწიფო, უცხოელი მჩაგვრელები უძლური აღმოჩნდნენ შეეკავებინათ ჩეხოსლოვაკიის ხალხთა საუკუნეობრივი მისწრაფება თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისადმი.

მხოლოდ დიდსულოვან და დიდი გულის ხალხს შეეძლო საუკუნეებში გამოეტარებინა უშრეტი რწმენა თავისი თავისუფლებისადმი, შეეძლო არა მარტო დაეცვა, არამედ კიდევაც გაემრავლებინა, განვითარებინა თავისი ეროვნული კულტურა, შეენახა საუკუნეობრივი ტრადიციები და ჩვეულებები. ახლა ახალ, სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში შესანიშნავად ეხამება ერთმანეთს ხალხის დიდი ისტორიული ტრადიციები და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მოპოვებული დიდი ტრადიციები.

იმპერიალისტები არასოდეს სერიოზულად არ უწევდნენ ანგარიშს ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ინტერესებს. მათ სურდათ თქვენს ქვეყანაში ჰქონოდათ უმდგრადობის კერა, თავიანთი კოლონიური ექსპერიმენტების ასპარეზი. მხარს უჭერდნენ რა ექსპლოატატორთა მცირე ჯგუფს, ისინი ცდილობდნენ შინაურ და გარეშე მჩაგვრელებზე მონურ დამოკიდებულებაში ჰყოლოდათ ჩეხოსლოვაკიის მუშები, მშრომელი გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია. მაგრამ განა შეიძლება, ძვირფასო მეგობრებო, ისეთი ხალხი, როგორც თქვენი ხალხია, სამუდამო მორჩილებაში იყოლიო? განა მონები უცხოელ მჩაგვრელთათვის და არა თავიანთი ქვეყნის თავისუფალი შვილები უნდა ზარდონ ჩეხმა და სლოვაკმა დედებმა? განა ჩეხოსლოვაკიის მუშები და გლეხები იმის ღირსნი არ არიან, რომ თვითონ მართონ თავიანთი ქვეყანა, იყონ მისი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი?

თავის საშინაო და საგარეო მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასმა შექმნა თავისი რევოლუციური პარტია — ჩეხოსლოვაკიის შებრძოლი კომუნისტური პარტია. თქვენი ხალხის დიდი შვილი კლემენტ გოტვალდი დაუცხრომლად სჭედდა და აწრთობდა მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტების პარტიას. მისი ნაცადი ხელმძღვანელობით მშრომელებმა თქვენს ქვეყანაში 1945 წელს მოიპოვეს დიდი გამარჯვება — წარმოიშვა ჩეხოსლოვაკიის ახალი სახალხო-დემოკრატიული წყობილება. მუშები, მშრომელი გლეხობა, ინტელიგენცია, რომლებიც სიმდიდრეს, ადამიანთა მთელ სიკეთეს ქმნიან, გახდნენ თავიანთი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი.

1948 წლის თებერვალში, როცა სოციალიზმის შინაური და გარეშე მტრები შეეცადნენ ჩეხოსლოვაკიაში აღედგინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება, ჩეხოსლოვაკიის მშრომელები მჭიდროდ დაირაზმნენ ეროვნული ფრონტის რიგებში და გადაჭრით გამოვიდნენ თავიანთი რევოლუციური მონაპოვრის დასაცავად. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ გააერთიანა და მეთაურობა გაუწია მთელ ძალებს, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის პოზიციებზე დგანან, ეროვნული ფრონტის ძალებს.

პატივი და დიდება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ვაშა!“. დამსწრენი შეწყობილად იმეორებენ: „გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას!“).**

ამხანაგებო! სამუდამოდ წავიდა დრო, როდესაც კაპიტალისტებს თავი ჰქონდათ ერთადერთ ძალად, რომელსაც შეუძლია მართოს ქვეყანა. საბჭოთა კავშირის განვითარების მთელი ორმოცი წლის გამოცდილებით, ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის შემდგომი გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ სოციალისტურ წყობილებას უდავო უპირატესობა აქვს კაპიტალისტური წყობილების წინაშე. დაე ნახონ ნაყოფი თქვენი შრომისა სოციალისტური განვითარების წლების მანძილზე. ახლა ჩეხოსლოვაკია აწარმოებს 2,5-ჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე ომამდელ წლებში აწარმოებდა. ამით შეგიძლიათ იამაყოთ! განვითარების ასეთი ტემპი ძალუძს მხოლოდ სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას, მხოლოდ მუშათა კლასს, რომელიც მიდის სოციალიზმის გზით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ გვიჩვენა თავი როგორც მებრძოლმა მარქსისტულ-ლენინურმა პარტიამ, რომელიც მტკიცედ დგას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე. ჩვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტები, კარგად ვიცნობთ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას როგორც შეუდრეკელ მებრძოლს კაპიტალისტური ჩაგვრის წინაღმდეგ ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკიის არსებობის წლებში, როგორც ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა რევოლუციური ანტიფაშისტური ბრძოლის ნიჭიერ ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს მეორე მსოფლიო ომის წლებში, სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს ომისშემდგომ პერიოდში.

მეთაურობს რა მშრომელთა ბრძოლას სოციალიზმის აშენებისათვის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია მუდამ მტკიცედ იცავდა და იცავს მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს, გამანადგურებელ წინააღმდეგობას უწევდა და უწევს რევიზიონისტებს. იცავს რა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების სიწმინდეს და უნარიანად, შემოქმედებითად იყენებს რა მათ, ითვალისწინებს რა თავისი რესპუბლიკის განვითარების თავისებურებებს.

სოციალისტური ბანაკის ყოველ ქვეყანას აქვს თავისი თავისებურებანი, თავისი განმასხვავებელი ნიშნები, განპირობებული ისტორიული, ეკონომიური და კულტურული განვითარებით, ეროვნული ტრადიციებით.

ყოველ ქვეყანაში, ყოველ კომუნისტურ და მუშათა პარტიას აქვს თავისი მიდგომა ამა თუ იმ კერძო საკითხისადმი, ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრისადმი. ეს გასაგებიც არის. თვითეული პარტია ეწევა თავის მუშაობას, ითვალისწინებს რა თავისი ქვეყნის კონკრეტულ პირობებს და ეკონომიური და კულტურული განვითარების დონეს.

ასე იქცევით თქვენ, ასე აშენებენ თავიანთ მუშაობას სხვა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები. აიღეთ, მაგალითად, სახალხო ჩინეთი. ეს არის დიდი ქვეყანა, და მე ვიტყოდი, თავისებური პირობებით. ჩინელი ამხანაგები, ითვალისწინებენ რა სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას სხვა ქვეყნებში, კი არ ბაძავენ, კი არ იმეორებენ მას, არამედ სოციალიზმის მშენებლობას ეწევიან მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სათუძველზე, თავიანთ პირობებთან შეფარდებით. და ეს არ შეიძლება იყოს ოდის საგანი. პირიქით, ჩვენ გვახარებს, რომ ჩვენი ჩინელი მეგობრები წარმატებით წყვეტენ სოციალისტურ საწყისებზე თავიანთი ქვეყნის გაოდაქმნის ამოცანებს.

უაზრობა იქნებოდა, ჩვენ რომ ყველაფერში მიგვებაძა ერთმანეთისათვის. მაგრამ ჩვენი პარტიები ურყევად ერთიანი არიან ძირითადისა და მთავარის—მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულების მხრივ, მისი ფუძემდებელი პრინციპებისადმი ერთგულების მხრივ. და როგორც უნდა ცდილობდნენ კაპიტალის მეამბოხენი შეარყიონ ეს ჩვენი ერთიანობა, ისინი ვერაფერს გახდებიან. ჩვენ თვალსაჩინოვით ვიცავდით და კვლავაც დავიცავთ ამ ერთიანობას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

სოციალიზმის მშენებლობა ადვილი საქმე რადია. სოციალისტური ეკონომიკის შექმნა მოითხოვს უდიდეს დაძაბვას, დიდ ღონისძიებებს, ჩვენ ეს კარგად ვიცით საკუთარი გამოცდილებით.

გაიხსენეთ, რა პირობებში მოუწოდა დიდმა ლენინმა რუსეთის მუშათა კლასს, მშრომელ ხალხს სოციალისტური რევოლუციისაკენ.

ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი იყო ეკონომიურად და კულტურულად. მაგრამ აბა ნახეთ, რას მივაღწიეთ ახლა ჩვენ. კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ქვეყანა სამრეწველო წარმოების მოცულობის მხრივ მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოიყვანა. სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით ჩვენს წინ არიან მარტო ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ დადგება დრო — ჩვენ დავეწევით და გავუსწრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მოგვიხდა სოციალიზმი გვეშენებინა უმაგალითო სიძნელეების პირობებში, გვეშენებინა მარტოდმარტო, გადაგველახა მრავალი დაბრკოლება ჩვენს გზაზე და მოგვეგერიებინა მრავალი მტრის იერიშები. მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს საბჭოთა კავშირი ერთადერთი სოციალისტური ქვეყანა იყო.

მაგრამ საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის, კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით, ღირსეულად გაუძლო ყველა განსაცდელს. ახლა მოაპოვებიან ისეთი ჭკუისკოლოფები, რომელნიც გვეუბნებიან ესა და ეს როგორც საქირო იყო ისე არ გაგიკეთებიათო, ამა და ამ საკითხში სცდებოდითო. რუსეთის მუშათა კლასი, მშრომელები გაჰყვნენ ლენინს, კომუნისტურ პარტიას, და ჩვენ სოციალიზმისაკენ მივდიოდით უკვლევი გზებით. რა თქმა უნდა, ასეთ დიდ საქმეში ძნელია თავიდან აიცილო ნაკლოვანებანი ან შეცდომები. საბჭოთა ხალხმა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო ააშენა და ახლა მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმის მშენებლობის გზით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

იცავდნენ და ამრავლებდნენ რა დიდი ოქტომბრის მონაპოვრებს, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, მშრომელები ეყრდნობოდნენ სხვა ქვეყნების მუშათა კლასის მხარდაჭერას. ჩვენ კარგად გვახსოვს და დიდად ვაფასებთ ჩეხოსლოვაკიის მამაცი მუშათა კლასის მხარდაჭერას. თავის მხრივ, საბჭოთა ხალხს მუდამ თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნდა და მიაჩნია ძმური დახმარება გაუწიოს მშრომელებს მათს ბრძოლაში თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

როდესაც მეორე მსოფლიო ომის წლებში ევროპის ხალხებს ფაშისტური მონობის საფრთხე ემუქრებოდა, საბჭოთა ხალხმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდა სხვა ქვეყნების ხალხებს, ძალღონის დაუზოგავად იბრძოდა ფაშიზმის განადგურებისათვის, იმისათვის, რომ ევროპის ქვეყნების ხალხები დაეხსნა ჰიტლერული ტირანიისაგან.

თქვენ ყველას გახსოვთ, რომ მრისხანე საფრთხის ჟამს, რომელიც თავს დაატყდა თქვენს ქვეყანას დასავლეთის იმპერიალისტთა მიუნხენის სამარცხვინო შეთქმულების შედეგად, საბჭოთა კავშირი მზად იყო დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიის ხალხებს. ჩვენი ჯარები გადაყვანილ იქნენ საზღვართან და მზად იყვნენ თქვენს ჯარებთან ერთად დაეცვათ ჩეხოსლოვაკიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მაგრამ მაშინდელმა პოლონეთის მთავრობამ უარი თქვა გაეტარებინა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარები, ხოლო საფრანგეთის მთავრობამ უარი თქვა თავის მოკავშირულ ვალდებულებებზე ჩეხოსლოვაკიის მიმართ. თქვენმა მაშინდელმა მთავრობამაც უარყო საბჭოთა კავშირის მიერ შეთავაზებული დახმარება. და ჩეხოსლოვაკია გერმანელ ფაშისტებს ჩაუგდეს ხელში.

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლა, როცა მსოფლიოში სოციალიზმის მძლავრი ბანაკი შეიქმნა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთათვის ბევრად გაადვილდა განახორციელონ თავიანთ ქვეყნებში ახალი ცხოვრების მშენებლობის ისტორიული ამოცანა, იმიტომ რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ძმურ დახმარებას უწევენ ერთმანეთს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მხარს უჭერენ რა ერთმანეთს, დიდად აფასებენ თავიანთი მეგობრების ძმურ დახმარებას, აშკარად ლაპარაკობენ ამ დახმარებაზე, როგორც პროლეტარიული ინტერნაციონალიზმის პრინციპების უაღრესად მაღალ გამოვლინებაზე. მაგრამ ყველა ასე როდი იქცევა ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების დამოკიდებულებას, რაც სოციალისტურ ბანაკში არსებობს.

მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი ამტკიცებს, თითქოს ჩეხები და სლოვაკები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის მხრივ დახმარებაზე, ცოტას ლაპარაკობენ იმაზე, რომ საბჭოთა ხალხმა გათავისუფლა ისინი ფაშისტების მიერ დამონებისაგან და სხვ. ამ ადამიანებს ვერ შეუგნიათ ან არა სურთ შეიგნონ, რომ ეს დახმარება ყოველთვის ურთიერთდახმარება იყო, რომ შეიძლება გათავისუფლო მხოლოდ ის, ვისაც თვითონ სურს განთავისუფლება, და არა მარტო სურს, არამედ აქტიურადაც იბრძვის თავისი განთავისუფლებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის ხალხები შეუპოვარ და თავდადებულ ბრძოლას ეწეოდნენ თავიანთი ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის, ფაშიზმის წინააღმდეგ — და ჩვენ დავეხმარეთ მათ ამ ბრძოლაში. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს დახმარებას უკანასკნელი როლი როდი შეუსრულებია ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ბედში. თქვენი მეომრები და პარტიზანებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი საერთო მტრის — გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების განადგურებაში. ჩეხოსლოვაკიის კორპუსი გმირულად იბრძოდა საბჭოთა არმიის შემადგენლობაში. მაშ რატომ არ შეგვიძლია ჩვენ და თქვენ ვილაპარაკოთ იმ დახმარებასა და მხარდაჭერაზე, რომელსაც ერთმანეთს ვუწევთ?

მე სავსებით ნორმალურად მიმაჩნია, როცა მეგობრები, თუ ისინი ნამდვილი მეგობრები არიან, ალიარებენ მოძმე ხალხების მეგობრულ მხარდაჭერას.

ჩვენც და თქვენც ახალი საზოგადოების აშენება გვიხდება იმპერიალისტური ძალების მხრივ მუდმივი თავდასხმისა და ტერული მოქმედების პირობებში, რომლებიც სულ სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, რათა ხელი შეუშალონ სოციალისტური მშენებლობის საქმეს, ამასთან თავიანთი თხზებისათვის იყენებენ რეაქციის შავბნელ ძალებს. ისინი აგრეთვე იყენებენ ჩამორჩენილ განწყობილებას ადამიანთა ერთ ნაწილში, ზოგჯერ ის სიძნელეებსაც, რომლებიც წარმოიშობა სოციალისტური მშენებლობის დროს.

ამას წინათ კონტრრევოლუციურმა ძალებმა უნგრეთში, გარედან აქტიური მხარდაჭერით, სცადეს დაეშალოთ სახალხო-დემოკრატიული წყობილება და კვლავ დაედგათ უნგრელი ხალხისათვის კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და ჩაგვრის უღელი. მაგრამ უნგრეთის მშრომელებმა ბოძმე ხალხებს დახმარებით საკადრისი პასუხი გასცეს რეაქციის ძალებს.

ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასმა, ყველა მშრომელმა უნგრეთის ამბების ღღეებში მაღალი პოლიტიკური შეგნება გამოიჩინეს. მათ ძმური დახმარება გაუწიეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მუშათა კლასს, მშრომელ ხალხს. უნგრეთის რევოლუციური ძალების მართალი საქმის მხარდაჭერა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კონკრეტული გამოვლინებაა ჩეხოსლოვაკიის, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის მშრომელთა მხრივ. **(ხანგრძლივი ტაში).**

უნგრეთის ამბებიდან ჩვენ გარკვეული გაკვეთილი მივიღეთ. ჩვენ, ჯერ-ერთი უნდა გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე, მეორე, კიდევ უფრო მტკიცედ უნდა დავრაზმოთ სოციალისტური ბანაკის მთელი ძალები, მესამე, გადაჭრით და გბედულად აღმოვფხვრათ შეცდომები და ნაკლოვანებანი ჩვენს მუშაობაში.

უნგრეთის ამბებმა დაგვანახვა, რომ მშრომელთა სოციალისტური მონაპოვარი შეიძლება სერიოზულ საფრთხეში აღმოჩნდეს, თუ მუშათა კლასის დიქტატურა შესუსტდა. მხოლოდ სოციალიზმის მტრებს შეუძლიათ მოძველებულად გამოაცხადონ ვ. ი. ლენინის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ჩვენ არ უნდა დავიჯეროთ, რომ სანამ კაპიტალისტური წყობილება არსებობს, იმპერიალისტური რეაქციის ძალები აწარმოებენ ბირგამომთხრელ მუშაობას სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. განა ასეთ პირობებში შეიძლება დავუშვათ მუშათა კლასის ხელისუფლების შესუსტება? არა, ასე მოქცევა იმას ნიშნავს, რომ მშრომელთა მტრების სასარგებლოდ ვიმოქმედოთ.

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. როგორც თქვენ იცით, ამ პლენუმმა დაგმო ფრაქციული საქმიანობა მალენკოვის, კაგანოვიჩის და მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფისა, რომლებიც პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ გამოდიოდნენ **საშინაო** და **საგარეო** პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა მხურვალე გამოხმაურება, ღრმა გაგება და ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა ყველა მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიაში.

ახლა ბურჟუაზიული პრესა სხვადასხვა ძოსაზრებას გაოთქვამს იმაზე, თუ როგორი იქნება საბჭოთა კავშირის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ. უმჯობესი კითხვაა. რა იქნება, კარგად არის ცნობილი. ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ განვაგრძობთ იმ ხაზს, რომელიც კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. აი ჩვენი გზა. და ამ გზიდან ვერავინ ვერ გადაგვახვევინებს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო!

დასასრულ მინდა გავიზიარო ზოგიერთი შთაბეჭდილება, რომლებიც თქვენს ქარხანაში ყოფნით მივიღე. ეფიქრობ, რომ თქვენ ამის წინააღმდეგი არ იქნებით? **(ტაში. შეძახილები: „გთხოვთ!“).** თქვენი ქარხანა კარგი ქარხანაა. ახალ ამბავს როდი გიტყვით. მთელს მსოფლიოს იცის, თუ რა მაღალია ჩეხოსლოვაკიის მუშათა და ინჟინერთა ოსტატობა. საბჭოთა მუშებმა და ინჟინრებმა ბევრი რამ ისწავლეს თქვენგან და ახლაც სწავლობენ. **(მქუხარე ტაში).**

თქვენ კარგად იცით, რომ ტექნიკა ერთ ადგილზე არ დგას, და ჩვენთვის სასიამოვნო იყო მოგვესმინა, რომ თქვენ მიღწეულს არ სჯერდებით. მართლაც არ შეიძლება ჩვენს დროში ერთსა და იმავე დროს ერთ საწარმოში ვაკეთოთ სათითეები და გენერატორები. საჭიროა განვახორციელოთ წარმოების სპეციალიზაცია, მისი ავტომატიზაცია, და ამით წინ წავწიოთ ტექნიკა, წინ წავწიოთ ეკონომიკა.

სოციალიზმთან კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეჯიბრების საკითხი საბოლოო ანგარიშით საწარმოო ძალების განვითარების საკითხია, შრომის ნაყოფიერების საკითხია. ამიტომ საჭიროა ვცდილობდეთ მივაღწიოთ შრომის უფრო მაღალ ნაყოფიერებას, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებშია. სოციალისტურ წყობილებას კოლოსალური უპირატესობები აქვს კაპიტალისტური წყობილების წინაშე. თუ კაპიტალისტური საზოგადოება დამყარებულია კონკურენციაზე, სადაც თვითეული მზად არის ყელი გამოღადროს მეორეს თავისი გამდიდრების ინტერესებისათვის, იმ ქვეყნებში, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ, ვითარდება მეგობრული შეჯიბრება, უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება.

ჩვენს წინაშე აგრეთვე დგას მეტად დიდი ამოცანა — გონივრულად გამოვიყენოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობანი, განვახორციელოთ ურთიერთსასარგებლო კოორდინაცია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის ეკონომიურ საკითხებში.

ამხანაგებო! სოციალისტური ბანაკის განმტკიცების საქმეში, ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებისათვის ბრძოლის საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილია ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ღღითიდღე მზარდი ძმური მეგობრობა, ჩვენს ქვეყნებს შორის ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება და რომელიც დამყარებულია ურთიერთმხარდაჭერასა და ძმურ ურთიერთდახმარებაზე. ჩვენი მტრების ვერავით

საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა მასებისათვის

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა მენშევიკებთან და ესერებთან კავშირში განაგრძობდა იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას. იგი ომს აწარმოებდა მეფის მთავრობის მიერ მოკავშირეებთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულებების საფუძველზე. უზრუნველყო რა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობის უმრავლესობის მხარდაჭერა, დროებითმა მთავრობამ ბრძანება გასცა 18 ივნისს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე შეტევის დაწყების შესახებ.

ამ ცნობამ აღშფოთება გამოიწვია მშრომელ მასებში.

საქართველოს ბოლშევიკებმა უდიდესი ბრძოლა გააჩაღეს მასების მომხრობისათვის შეტევის წინა დღეებში. მუშების, ჯარისკაცების მრავალრიცხოვან მიტინგებსა და დემონსტრაციებზე, რომლებიც ამ პერიოდში მოეწყო, დიდი წარმატება ჰქონდა ბოლშევიკურ ლოზუნგებს.

ბოლშევიკურმა პრესამ გააჩაღა თართო კამპანია შეტევის წინააღმდეგ.

გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ მოწინავე სტატიაში (22 ივნისს ძვ. სტ.) შეტევის შესახებ წერდა:

„შეტევა გამოცხადებულია. სისხლისღვრა დაიწყო. თითქოს არ იყო საკმარისი ის აურიცხელი მსხვერპლი, რომელიც ხალხმა მიიტანა ომის სამსხვერპლოზე. თითქოს ცოტა მუშა და გლეხია მოსპობილი, დასახიჩრებული და დამახინჯებული. ისევ დაიწყებს დინებას ხალხის სისხლის ახალი მდინარეები, ისევ ადამართება გვამების ახალი მთები. ბურჟუაზიამ თავისი საქმე გააკეთა. მან თავის მიზანს მიაღწია...

ამხანაგებო მუშებო და ჯარისკაცებო! ჩვენ, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები, თავისუფლების, რევოლუციის, ინტერნაციონალის გულისათვის ხმამაღლა ვაცხადებთ: კმარა სისხლისღვრა, კმარა მსხვერპლი, კმარა ხალხის გალატაკება! ძირს ეს ახალი სასაკლაო, რომელიც მოაწყეს ბურჟუაზიამ და მისმა მთავრობამ, ძირს შეტევა!“.

თბილისში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით 21, 22, 24 ივნისს (ძველი სტილით) მოეწყო დიდმნიშვნელოვანი მიტინგები მუშებისა და ჯარისკაცების მონაწილეობით. ამ მიტინგებმა უდიდესი როლი შეასრულეს ჯარისკაცთა ფართო მასების ბოლშევიკური ლოზუნგების ქვეშ დარაზმვის საქმეში.

21 ივნისს ალექსანდროვის ბაღში მოწყობილ გრანდიოზულ მიტინგს 6 ათასზე მეტი ჯარისკაცი ესწრებოდა. მიტინგზე გამოსული ბოლშევიკები მოუწოდებდნენ აღიმაღლებინათ, საპროტესტო ხმა შეტევის წინააღმდეგ. მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილი იყო დროებითი მთავრობის პოლიტიკა, მენშევიკებისა და ესერების გამცემლობა.

ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს მოეწყოთ ჯარისკაცთა გარნიზონის მიტინგი. 21 ივნისს გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა პატარა ცნობა, რომ საყარაულო ბატალიონი 25 ივნისს 3 საათისათვის მესანგრეთა ყაზარმებში იწვევდა გარნიზონის ჯარისკაცთა მიტინგს.

ბოლშევიკებისათვის ამ მიტინგის მოწყობა მით უფრო იყო აუცილებელი, რომ მენშევიკურ-ბურჟუაზიულ პრესაში გააფთრებული კამპანია წარმოებდა 18 ივნისს პეტროგრადში ჩატარებული დემონსტრაციის გამო. მენშევიკებმა და ესერებმა განგაში ატეხეს მიტინგის მოწვევის წინააღმდეგ. მაგრამ მოძრაობამ ჯარისკაცთა ფართო მასები მოიცვა და მიტინგის აკრძალვა შეუძლებელი აღმოჩნდა. მაშინ მენშევიკებმა და ესერებმა გადაწყვიტეს მიტინგის მოწვევის საქმე თვითონ ეთავათ. თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი სახელით გამოუშვა მოწოდება იმავე დღეს მიტინგის მოწვევის შესახებ თავისუფლების მოედანზე (ნაძალადევში).

მაგრამ მენშევიკ-ესერების იმედი არ გამართლდა. თავისუფლების მოედანი უფრო ხალხტევადი აღმოჩნდა, ვიდრე მესანგრეთა ყაზარმები. 25 ივნისის დღე გადაიქცა გრანდიოზული დემონსტრაციის დღედ, ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის ტრიუმფად. 25 ივნისს დილიდანვე დაიწყო ჯარისკაცთა და მუშათა კოლონების სვლა მიტინგის ადგილისაკენ. ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს მოესმინათ მენშევიკებისა და ესერებისათვის. მიტინგს, რომელიც ფაქტიურად დემონსტრაციად გადაიქცა და წარმოადგენდა პეტროგრადის 18 ივნისის დემონსტრაციის გაგრძელებას, ესწრებოდა 10 ათასზე მეტი ჯარისკაცი, მრავალი ათასი მუშა. უსმენდნენ მხოლოდ ბოლშევიკ ორატორებს, რომლებიც განუმარტავდნენ, რომ ომი წარმოადგენს რევოლუციისათვის ყველაზე უფრო დიდ საშიშროებას, იგი აღატაკებს ხალხს, ამიტომ მისი შეწყვეტა რევოლუციის მთავარი ამოცანაა. მიტინგმა მიიღო ბოლშევიკების მიერ წარდგენილი რეზოლუცია.

ამის შემდეგ მენშევიკებმა დაიწყეს სასტიკი რეპრესიული ზომების მიღება რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცების მიმართ. მაგრამ ამ პოლიტიკას მათთვის წარმატება არ მოუტანია. ბოლშევიკების გავლენა მუშებისა და ჯარისკაცების მასებზე ყოველდღიურად იზრდებოდა.

ᲬᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲬᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲨᲘ

მეორე წელიწადია გრძელდება სოციალისტური შეჯიბრება ახალციხის ქვანახშირის № 1 შახტისა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 5 შახტის კოლექტივებს შორის.

ახალციხის № 1 შახტის კოლექტივმა წელს ნახევარი წლის გეგმა 5 თვეში შეასრულა და 6.000 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი ამოიღო, თვითეული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირა 7 მანეთითა და 21 კაპიკით. მიღწეულია 185 ათასი მანეთის ეკონომია. მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, ძირითადი სამთო გამონამუშევართა გაყვანის გეგმა — 212 პროცენტით.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 5 შახტის კოლექტივმა განვლილ ექვს თვეში გეგმის გადამეტებით ამოიღო 3.500 ტონა ქვანახშირი, 5 თვეში მოგვცა 208 ათასი მანეთის ეკონომია და შრომის ნაყოფიერება გაადიდა 11,5 პროცენტით ნაცვლად ნავარაუდევი 1 პროცენტისა.

ეს შედეგები შეჯამებულ იქნა ახალციხეში ტყვარჩელელთა დელეგაციის ჩამოსვლისას. ახალციხელმა მეშახტეებმა ძვირფას სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. აქვე ტყვარჩელელები შეხვდნენ ტყიბულელ მეშახტეთა დელეგაციას.

შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგების შესაჯამებლად გაიმართა ტყვარჩელელ, ტყიბულელ და ახალციხელ მეშახტეთა წარმომადგენლების გაერთიანებული შეკრება.

ტყვარჩელელი და ტყიბულელი სტუმრები გულდასმით გაეცნენ ახალციხელი მეშახტეების მუშაობის გამოცდილებას და საკუთარი გამოცდილებაც გაუზიარეს მათ.

ნ. ᲤᲐᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ,

ახალციხის რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ რედაქტორი.

ᲜᲝᲠᲩᲘ ᲛᲝᲐᲒᲐᲠᲐᲙᲔᲜᲘ ᲬᲐᲨᲘᲡᲙᲐᲠᲨᲘ

ხაშური. (საკ. კორ.). სოფელი ტაშისკარი, რომელსაც სამი მხრიდან გარს აკრავს წიწვიანი და ფოთლოვანი ტყით დაფარული მთები, საუკეთესო ადგილს წარმოადგენს ბავშვთა დასვენებისა და ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის. ამიტომ არის, რომ ზაფხულის ცხელ თვეებში აქ ეწყობა ჰონირთა ბანაკები, საგარაკოდ ჩამოდის ბევრი საბავშვო ბაღი.

ტაშისკრის მთების ხეობაში, პატარა ღელის მარჯვენა და მარცხენა ნაპირას აღმართულია საქართველოს კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკის ლამაზი კორპუსები. პირველ კორპუსში აქ წელს პირველად გაიხსნა პიონერთა ბანაკი, სადაც ერთდროულად ისვენებს 250 ნორჩი მოაგარაკე. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა მეორე კორპუსიც.

ნორჩი მოაგარაკენი უზრუნველყოფილი არიან კარგი კვებითა და მოვლა-პატრონობით. მათთვის სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები მახლობელი მხარის შესასწავლად.

საქართველო „თეთრი ნახშირის“ რესპუბლიკაა

ჩვენი რესპუბლიკა — საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა არა მარტო თავისი წიაღისეულით, ჰავისა და ნიადაგების მონაცემებით, არამედ მდინარეთა პოტენციური ენერგიითაც — „თეთრი ნახშირით“. მაგრამ ეს უამრავი ჰიდროენერგია, რაც საბოლოო ანგარიშით ყველა წარმოშობის ენერგიაზე უფრო იაფი უჯდება სახალხო მეურნეობას, ჯერჯერობით მეტად მცირე პროცენტით გვაქვს გამოყენებული.

გამოანგარიშებული და დადგენილია, რომ ამიერკავკასიის მდინარეთა ენერგიის 75 პროცენტი თავმოყრილია საქართველოში.

საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად ჩვენი ჰიდროენერგეტიკოსებისათვის რესპუბლიკის მდინარეებზე ცნობილია 11 მილიონზე მეტი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროენერგოსადგურთა აგების შესაძლებლობა.

საქართველოს მთის მდინარეთა ბუნებრივი ხელსაყრელი მონაცემები და იაფი ჰიდროენერგიის მიღების ტექნიკური შესაძლებლობანი ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა წლებში იპყრობდა გამდიდრებას სურვილით გატაცებული ჩვენებური და უცხოელი კაპიტალისტების ყურადღებას. მაგალითად, ცნობილია, რომ მდინარე თერგზე ჰიდროელექტროსადგურის აგების უფლებას სთხოვდა მეფის მთავრობას ინგლისელი კონცესიონერი ვინმე სტიუარტი. მდინარე ცხენისწყალზე სოფ. მათხოჯის მახლობლად ჰიდროელექტროსადგურის აგებას ცდილობდა სოლოლაკელი მილიონერი ვინმე ტერ-დავიდოვი.

მრავალი მსურველი აღმოჩნდა აეგო ჰიდროელექტროსადგური სოფ. ალპაძის მახლობლად მდინარე რიონზე. აგ მშენებლობის დასაწყებად კონცესიის მიღებას ცდილობდა ხუთი კაპიტალისტისაგან შემდგარი „საზოგაღოება“, რომელმაც მეფის მთავრობას კიდევაც დასტყუა ეს ნებართვა, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა გადამთიელ ექსპლოატატორებს ხელი შეუშალა გადაწყვეტილების განხორციელებაში.

მეფის მთავრობის მემკვიდრედ საქართველოში, როგორც ცნობილია, უდღეური მენშევიკური მთავრობა აღმოჩნდა. მენშევიკებს კი არც სახელმწიფოებრივი გონება შესწევდათ და არც ძალა, რომ ხელი მოეკიდებინათ ელექტროსადგურების მშენებლობისათვის.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საქართველოს მდინარეთა ენერგეტიკული ძალა სრულიად ხელუხლებელი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მცირეძალოვან ჰიდროელექტროსადგურს, რომლებიც აგებული იყო პატარა ღელეებზე და რომელთა საერთო სიმძლავრე ძლივს აღწევდა 4 ათას ცხენის ძალას. ამ მცირეძალიან ჰიდროელექტროსადგურებს შორის პირველი იყო ბორჯომჰესი, რომელიც 1898 წელს ამუშავდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ლენინის მითითების საფუძველზე საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკული რესურსების შესწავლას, ყველა ამ საკითხის გამორკვევას, რაც დაკავშირებული იყო ჩვენში ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაწყებასთან. ეს მუშაობა, ჩვენი მდინარეების შესწავლა, არსებული ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოკვლევა მას შემდეგ დღემდე გრძელდება და, რაც დრო გადის, თანდათან მეტი ახალი შესაძლებლობები ვლინდება.

ამჟამად შესწავლილია და უკვე შედგენილია ჩვენს მდინარეებზე მთელი რიგი ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების აგების პროექტები. მაგალითად, მზად არის პროექტი მდინარე თერგზე დარიალჰესის, მდინარე რიონზე რამდენიმე ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების ასაგებად, რესპუბლიკის ერთ-ერთ მდინარეზე მიგნებული ისეთი ადგილი, სადაც არის მცირე მონაკვეთზე ძრავალი მილიონი კილოვატის სიმძლავრის კასკადის აშენების შესაძლებლობა, მონიშნულია ადგილები თითქმის ყველა მდინარის ენერგეტიკული გამოყენებისათვის.

ზემოგაჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებით, რის 30 წლისთავი ამას წინათ აღვნიშნეთ, დაიწყო საქართველოს მდინარეთა დაუშრეტელი ენერგიის ათვისება. ზაჰესის ბაზაზე აღიზარდნენ ახლა უკვე მთელ საბჭოთა ქვეყანაში სახელგანთქმული ჩვენი ჰიდროენერგეტიკოსი მშენებლები, ჰიდროელექტროსადგურთა ექსპლოატაციაში დახელოვნებული მაღალკვალიფიციური კადრები, მაღალავტორიტეტიანი დამპროექტებლები.

საქართველოში განსწავლულმა და გამოცდილებამიღებულმა სპეციალისტმა ჰიდროენერგომშენებლებმა განვლილი სამი ათეული წლის მანძილზე ააგეს და აამუშავეს ტექნიკის უახლოეს მიღწევათა მიხედვით მოწყობილი ჰიდროელექტროცენტრალები — რიონჰესი, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური, სოხუმჰესი, პირველი ხრამჰესი, რომელიც შაორჰესის ამუშავებამდე საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალი წნევის ჰიდროელექტროსადგურად ითვლებოდა, ჩითახევჰესი, მეორე გუმათჰესი, ბეჟიჰესი, ტყიბულჰესი და ახალი სქემის მიხედვით აგებული, ახალი ტიპის დანადგარებით აღჭურვილი ორთაჭალჰესი. გარდა ამ მძლავრი ჰიდროელექტროცენტრალებისა, რესპუბლიკის ენერგეტიკული ბალანსი გადიდდა ალაზანჰესის, სამგორჰესების კასკადის, რიცეულჰესის, ტირიფონჰესის და 150-ზე მეტი საკოლმეურნეო და სასოფლო ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებით.

ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის პარალელურად ჩვენში ფართოდ განვითარდა თბოენერგეტიკული მშენებლობა ადგილობრივი საწვავის ბაზაზე. მაგალითად, ამუშავებულ იქნა მძლავრი თბოელექტროსადგური ტყვარჩელში, ასეთივე ძლავრი სადგური რუსთავში, თბილისში და ა. შ.

მიუხედავად ენერგეტიკული მშენებლობის დიდი მასშტაბით გაჩაღებისა, საქართველოში მაინც განვიცდით ელექტროენერგიის გარკვეულ დეფიციტს და ზოგჯერ, განსაკუთრებით ზამთრის თვეებში, ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება იმდენად იზრდება, რომ მის დაკმაყოფილებას ვერ ვახერხებთ. ეს იმის შედეგია, რომ სამრეწველო მშენებლობა რესპუბლიკაში ბევრად უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე ენერგეტიკული მშენებლობა. ელექტრობალანსი რომ გამოვასწოროთ და ენერგეტიკული სისტემის დეფიციტი დავფაროთ, საჭიროა ახალ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის დაჩქარება და გეგმით გათვალისწინებული ახალი მძლავრი ჰიდროელექტროცენტრალების მშენებლობის სასწრაფოდ დაწყება.

ყოველივე ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს უამრავი ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების საქმე დაკავშირებულია მრავალ სირთულესთან, მრავალი ტექნიკური პრობლემის ახლებურად გადაწყვეტის აუცილებლობასთან. ჩვენი მეცნიერი ჰიდროტექნიკოსები და ენერგეტიკოსები, პრაქტიკოს მშენებლებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით, ამ პრობლემებს სწავლობენ, ბევრი მათგანი უკვე გადაწყვეტეს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის საერთო-საკავშირო საქმეში.

დაწყებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მთავარი მიზანი ის არის, რომ მივაღწიოთ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გაიაფებას, მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულების მინიმალურად შემცირებას. ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე საშუალებას გვაძლევს ამ მიზნის მისაღწევად გამოვიყენოთ მრავალი ღონისძიება. მოვიყვანთ მაგალითს:

ცნობილია, რომ საქართველოს მთის მდინარეები რთულ ტოპოგრაფიულ პირობებს ქმნიან და იწვევენ მაღალი კაშხალების აშენების საჭიროებას. მაგრამ მაღალი კაშხლის ასაგებად საჭიროა დიდძალი საშენი მასალა, დიდძალი მექანიზმები და, რაც მთავარია, დიდი დრო. ამიტომ ტექნიკაში ამ ბოლო დროს ცნობილი გახდა უფრო ეკონომიური, თანაც უფრო ხელსაყრელი საშუალება, ე. წ. თაღოვანი კაშხალების გამოყენება. თაღოვანი კაშხალი თითქმის ორჯერ უფრო ნაკლები ჯდება, ვიდრე ჩვეულებრივი საგრავიტაციო კაშხალი. ამავე დროს მაღალი, თაღოვანი კაშხლების მშენებლობის დანერგვით წყდება წყალსაცავების მოწყობისა და მდინარეთა რეგულირების საკითხი. ჩვენში პირველი ასეთი საგრძნობლად მაღალი თაღოვანი კაშხალის მშენებლობა ლაჯანურჰესზე ხორციელდება, ხოლო აქ მიღებული გამოცდილება შემდგომში უეჭველია ფართოდ იქნება გამოყენებული ყველგან.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაჩქარებისა და გაიაფების თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობა აქვს რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების ფართოდ დანერგვას, აგრეთვე გვირაბმშენებლობის ჩქარსნული მეთოდების განვითარებას და გვირაბსათხრელი მექანიზმების ფართოდ გამოყენებას.

მშენებლობის გაიაფებისა და დაჩქარებისათვის საჭიროა აგრეთვე კაშხლების ტიპის შერჩევა და ამ კაშხალების ასაგებად დეფიციტური საშენი მასალების ნაცვლად ადგილობრივი მასალების გამოყენება.

შესასწავლი და გადასაწყვეტია მრავალი სხვა საკითხიც, და ყველა ამ საკითხს, ეჭვი არ არის, ჩვენი ნიჭიერი ჰიდროტექნიკოსი და ენერგეტიკოსი მკვლევარები გადაწყვეტენ ისევე წარმატებით, როგორც მათ არა ერთი და ორი სხვა პრობლემა გადაწყვიტეს.

* * *

საბჭოთა ხელისუფლებას დაბადა ღონემიხდილი, გაღატაკებული, მენშევიკებისა და ყველა ჯურის ანამკითხვავანტიეროსტების მიერ გაძარცული საქართველო.

ახლა მთლიანად შეცვლილია ვითარება. კოლხიდის ჭაობმა სუბტროპიკების პლანტაციებს, ახალ სოფლებს, ახალ ადამიანებს დაუთმო ადგილი, ორმა სამგორის მიწა გააცოცხლა, ვენახი და ხეხილის ბაღები ააყვავა, სამ ადგილას გატეხეს რიონის ჯიუტობა და მის ტალღათა სიმძლავრე სახალხო მეურნეობისათვის სასიცოცხლოდ საჭირო ელექტროენერგიად გადააქციეს, ასევე აიძულეს დედა-მტკვარი ზაჰესის, ჩითახევჰესის, ორთაჭალჰესის შექმნა გაებრწყინებინა რესპუბლიკა.

ყოველივე ეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგი და ხალხის შრომის ძვირფასი მონაპოვარია.

თ. ᲒᲔᲒᲔᲚᲘᲐ,

თბილჰიდროენერგოპროექტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲘ

მუხრანის ველზე ალოთბაა. მცხეთის მტბის კომბაინთა აგრეგატების კოლექტივები ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსავლის მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ აღებისათვის. შეჯიბრებაში მოწინავეთა შორის არის კომბაინის იმ აგრეგატის კოლექტივი, რომელსაც კომბაინერი ვალერიან მაისურაძე ხელმძღვანელობს. იგი შეუფერხებლად ამუშავებს „სტალინეცი-6“ მარკის კომბაინს სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში. სამ სამუშაო დღეში 65 ჰექტარი პურეულია აღო. საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად ნავარაუდევი 13 ცენტნერისა. კომბაინერი ვ. მაისურაძე ყოველდღიურად 20-22 ჰექტარ პურეულს მკის ნაცვლად 10 ჰექტარისა.

ვალერიან მაისურაძემ კარგად იცის, რომ პურეულის დანაკარგებთან ბრძოლის პირველი საშუალებაა მოსავლის მოკლე ვადაში აღება, ხოლო მოსავლის უდანაკარგოდ აღება თვითეული კომბაინერის დირსების საქმეა. იმაზე, თუ რით აღწევს აგრეგატის კოლექტივი კომბაინის შეუფერხებელ მუშაობასა და მოსავლის უდანაკარგოდ აღებას, მოწინავე კომბაინერმა შემდეგი გვიამბო:

— მტკიცე ტექნიკური კონტროლი გვაქვს დაწესებული მანქანის მუშაობაზე. როგორც წესი, ყოველ დილით მუშაობის დაწყებამდე საგულდაგულოდ ვამოწმებთ კომბაინის თვითეულ კვანძს. რაიმე უწესივრობის შემჩნევისას დაუყოვნებლივ ვიღებთ საჭირო ზომებს. მკისა და ლეწვის ხარისხი რომ მაღალი იყოს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პირველადი და მეორადი წმენდის მექანიზმებს სწორად რეგულირებას. როცა პური ტენიანია, დოლსა და დეკას შორის ბებმა სათანადო შედეგი გერ აღამიანთა ჯანმრთელობისა მოგვცა. დიდი ხნის ცდების შემდეგ ასეთი საშუალება აღმოჩნდა ალოეს ემულსია. კლინაკურმა გამოცდამ ცხადყო, რომ ეს პრეპარატი მთლიანად სპობს ტკივილებს კანის იმ ნაწილზე, რომელსაც სხივებით მკურნალობენ.

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ

მოსკოვის ი. მ. სეჩენოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის ოპერატიული ქირურგიის კათედრასთან არსებულ ორგანოთა გადანერგვის ლაბორატორიაში ვ. პ. დემიხოვის ხელმძღვანელობით საინტერესო და მნიშვნელოვანი ცდები ეწყობა. ძაღლებზე ექსპერიმენტებით მეცნიერებმა შეიმუშავეს გულის, ფილტვებისა და სხვა ორგანოების ერთი ცხოველისაგან მეორისათვის გადანერგვის მეთოდები.

ძაღლი, რომელსაც უცხო გული და ფილტვები აქვს, ნორმალურად იქცევა, სვამს და ჭამს. შიუხედავად ამისა, რომ ოპერაცია მძიმეა, ყველა ცხოველმა ის კარგად გადაიტანა. მაგრამ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ჯერჯერობით ექვს დღე-ღამეს არ აღემატება. ძაღლები, რომლებსაც ერთსა და იმავე დროს ორი გული აქვთ, „ძველი“ და „ახალი“, უფრო დიდხანს ცოცხლობენ. მაგალითად, ერთ-ერთმა მათგანმა 32 დღე იცოცხლა.

ორგანოთა გადანერგვის დარგში ლაბორატორიის კვლევა მნიშვნელოვან რეალურ ნაყოფს ანიჭებს ქირურგიული პრაქტიკის განვითარებაში და ახალ შესაძლებლობებს ქმნის





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტს ძირითად ბაზაში — დუშეთის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში წარმოებს დაკვირვება იმ აპარატებზე, რომლებიც რეგისტრაციას უკეთებენ დედამიწის მაგნეტიზმისა და მიწის ელექტრონული დენების სხვადასხვა მოვლენებს. სურათზე: 1. დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია. 2. ლაბორანტი ლ. შერმადინი მუშაობს ლაბორატორიაში მიწის ელექტრონული დენების შესწავლაზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲐᲚᲝᲔᲡ ᲔᲛᲣᲚᲡᲘᲐ

არსებობს ლეგენდა, რომ ალოეს, როგორც სამკურნალო საშუალებას, იცნობდნენ ბერძნები ჯერ კიდევ IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამ სასწაულთმოქმედი მცენარისათვის, ნათქვამია ლეგენდაში, არისტოტელემ ურჩია ალექსანდრე მაკედონელს დაეპყრო კუნძული სოკოტრა. დაიპყრო რა კუნძული, ალექსანდრე მაკედონელმა იქ ბერძნები დაასახლა. ამ დროიდან ბერძნები იყენებენ ალოეს. ძვირფასი მცენარის წვენიდან მათ დაიწყეს სხვადასხვა წამლის დამზადება.

ცნობილია, ორასამდე სახის ალოე, რომელიც მთავრდწვანე მცენარეს წარმოადგენს, მრავალი საუკუნის მანძილზე ალოედან იღებენ ყოველნაირ პრეპარატს. ძველთაგანვე ჩინეთსა და ინდოეთში ამ მცენარეს იყენებდნენ ეგზემისა და ანთებითი პროცესების დროს. საბჭოთა კავშირში ალოე მოიპოვება კავკასიაში, შავი ზღვის სანაპიროზე. მას იყენებენ სხვადასხვა დაავადების დროს.

ამას წინათ წამლებისა და არომატული მცენარეების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მიიღეს ახალი სამკურნალო საშუალება — ალოეს ემულსია. როგორც ცნობილია, ამჟამად კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი ეკუთვნის სხივების თერაპიას. მაგრამ ეს მეთოდი, რომელიც ეფექტიანია ავთვისებიან სიმსივნეთა ლოკვიდაციაში, ხშირად იწვევს ქსოვილის დაზიანებას. კანის დაზიანების პროფილაქტიკისა და თერაპიის მთელმა რიგმა საშუალებამ სათანადო შედეგი ვერ მოგვცა. დიდი ხნის ცდების შემდეგ ასეთი საშუალება აღმოჩნდა ალოეს ემულსია. ცდა ცხადყო, რომ ეს პრეპარატი მთლიანად სპობს ტკივილებს კანის იმ ნაწილზე, რომელსაც სხივებით მკურნალობენ.

ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

გერმანული ენციკლოპედიური ჟურნალი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში გამოდის, მოგვითხრობს ბაღში მწიფე ხილის შოშიებისაგან გონებამახვილური დაცვის ხერხის შესახებ.

შოშიები გაზაფხულზე და ზაფხულის დამდეგს მებაღის თანაშემწენი არიან შავენებელი მწერებისა და მუხლუხების განადგურებაში. მაგრამ დამწიფებულ ხილს მათ შეუქლიათ დიდი ზარალი მიაყენონ, დაკენკონ და დააზიანონ.

როგორ ვებრძოლოთ ფრინველებს? შოშიების განსაკუთრებული ძახილი, რომელიც გაფრთხილებაა საფრთხის შესახებ, ჩაწერილ იქნა აფსკზე. ბაღებში დადგეს ხმამაღლამოლაპარაკე და შოშიების გუნდის მოახლოებისას ჩართეს ეს ჩანაწერი. ამ ხმის გაგონებისთანავე, რომელიც შოშიებს აუწყებს საფრთხეს, ისინი გაფრინდნენ. მალე შოშიებმა სრულებით მიანებეს თავი „მუდმივი საფრთხის“ ადგილებს.

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Ვ. მაისურაძე.

• • •

ლრეკოს მინიმუმამდე ვამცირებთ: კომბაინის განტვირთვას ვახდენთ სვლისას. ღამით მუშაობისათვის კომბაინზე მოწყობილი გვაქვს ელექტროგანათება.

ტექნიკური უწესივრობის აღმოსაფხვრელად კომბაინერს აქვს იარაღების კომპლექტი. კომბაინი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით.

ვალერიან მაისურაძესთან ერთად მოსავლის მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ აღებისათვის მონდომებით მუშაობენ ტრაქტორისტი პ. ნათაძე, მეშტურვალე ნ. ურთაშვილი.

შარშან მოწინავე კომბაინერმა ვ. მაისურაძემ 355 ჰექტარზე აღო მოსავალი. წელს აგრეგატის კოლექტივი, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს, იბრძვის იმისათვის, რომ ათ სამუშაო დღეში მომკას 250 ჰექტარი, ხოლო მთელ სეზონში — 400 ჰექტარი პურეული. ამ ვალდებულების განაღდებისათვის კომბაინერ ვ. მაისურაძის აგრეგატის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული იმ კომბაინის აგრეგატის კოლექტივთან, რომელსაც კომბაინერი გ. ბულაცაშვილი ხელმძღვანელობს.

ვნახოთ, ვინ როგორ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

Ვ. ᲮᲔᲗᲐᲒᲣᲠᲘ,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲛᲬᲕᲠᲚᲔᲑᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

ბორი. (საკ. კორ.). ამას წინათ სოფელ მეჯვრისხევის კულტურის სახლში ამავე სოფლის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა საბავშვო მწერალს ანა ხახუტაშვილს (ცქვიტს) მოუწყეს დაბადების 70 წლისთავისა და სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

იუბილართან ერთად სკოლას ესტუმრნენ მწერლები ი. აბაშიძე, ა. ბელიაშვილი, დ. შენგელაია, მ. მრევლიშვილი, გ. შატბერაშვილი, რ. მარგიანი, ო. ჩხეიძე, მარიჯანი, რ. ქორქია, შ. ძიძიგური, ი. ურჯუმელაშვილი და სხვ.

მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ე. მღებრიშვილი.

იუბილარს საკუთარ ლექსებითა და სიტყვებით მიმართეს მწერლებმა მარიჯანმა, რ. ქორქაიამ, ო. ჩხეიძემ, მოსწავლეებმა მ. ბლუაშვილმა, თ. გრიშინმა, მ. მარღიშვილმა და სხვ.

მწერალმა ანა ხახუტაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

დასასრულ სკოლის თვითმოქმედი კოლექტივის ძალებით გაიმართა კონცერ

სამეფოსაქართველოს ფოსტიდან

ბათუმის ნავსადგურში. გემის განტვირთვა ახალი ტონანახევრიანი ავტომტვირთავებით. ფოტო ვ. სტოლიაროვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მშრომელთა კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად

მშრომელთა კულტურული მომსახურება წალენჯიხის რაიონის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. ყოველწლიურად იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. რაიონის მშრომელებს - ემსახურება 17 საკლუბო და 8 საბიბლიოთეკო დაწესებულება. მათ შორის არის სარაიონო კულტურის სახლი და სარაიონო ბიბლიოთეკა. მარტო წელს კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის 26,6 პროცენტი დაიხარჯება.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ჭალეში დამთავრდა სასოფლო კლუბის შენებლობა, ნაოფაში კოლმეურნეთა ინიციატივით შენდება ტიპური სასოფლო კლუბი, რომელიც საეკსპლოატაციოდ გადაეცემა მომდინარე წლის ბოლოსათვის.

ჯგალის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე კ. ბერიშვილი) განუწყვეტლივ ზრუნავს საკლუბო დაწესებულების კეთილმოწყობისათვის. კლუბის შენობას გაკეთდა კაპიტალური რემონტი, შეძენილ იქნა მნიშვნელოვანი რაოდენობით ინვენტარი და მოწყობილობა. სასოფლო საბჭოს აღმასკომი რეგულარულად განიხილავს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის აქტუალურ საკითხებს, საქმიან დახმარებას უწევს საკლუბო დაწესებულების მუშაკებს მშრომელთა კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში.

სოფელ საჩინოს უდაწოვის, ჯგალის სტალინის და კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობებში აშენდა კოლმეურნეობების კანტორები, რომლებშიც მშრომელთა კულტურული მომსახურების, გარეთობისა და დასვენებისათვის გამოყოფილია ძაუერებელთა 300-ადგილიანი დარბაზები.

მიუხედავად ამისა, რაიონის კულტურულ - საგანმანათლებელო დაწესებულებები მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ მშრომელთა კულტურულ მოთხოვნილებებს. სარაიონო კულტურის სახლს საკუთარი შენობა არა აქვს. იგი მოთავსებულია კინოთეატრის დარბაზში, სადაც მუშაობისათვის ელემენტარული პირობებიც არ არის შექმნილი. ეს კი აფერხებს რაიონის მშრომელთა კულტურულ მომსახურებას. მშრომელთა ინტერესები მოითხოვს, რომ დაბა წალენჯიხაში აშენდეს კულტსახლის ახალი შენობა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უნდა იზრუნოს ამ საქმისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებში შარშან და წელს სოფლის საკლუბო დაწესებულებებმა 75 საღამო-კონცერტი გამართეს. ამ მხრივ ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ჯგალის, ორჯონიკიძის, ეწერის სასოფლო კლუბებმა და სარაიონო კულტურის სახლმა. საჩინოს, ჯვარის და ობუჯის სასოფლო კლუბებში წელს გაიმართა მკითხველთა კონფერენციები, მოეწყო შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში თვალსაჩინო ადგილას გამოფენილია პარტიის XX ყრილობის მასალები, ფართოდ წარმოებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა პროპაგანდა. მკითხველთა კონფერენციებზე ხდება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაცია.

კულტურულ-საგანმანათლებელო დაწესებულებათა საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბიბლიოთეკო მუშაობას. უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა წიგნის პროპაგანდა, გადიდდა მუდმივ მკითხველთა რაოდენობა. მარტო წალენჯიხის სარაიონო ბიბლიოთეკას წელს 550-მდე მუდმივი მკითხველი ჰყავს. მთლიანად რაიონში ბიბლიოთეკების მუდმივ მკითხველთა რაოდენობა 2.370-ს აღემატება.

ერთგვარ წარმატებებს მიაღწია რაიონის კინოფიკაციამ. გაუმჯობესდა კინოფიკაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაიონში ამუშავდ 8 მუდმივი და მოძრავი კინოდანადგარია. რეგულარულად ეწყობა კინოფილმების დემონსტრირება რაიონის სოფლებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გაცხოველებით ემზადებიან ჩვენი რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებიც. საკლუბო და საბიბლიოთეკო დაწესებულებათა მუშაკებმა, კინომექანიკოსებმა ვალდებულება აიღეს გაამდიერონ კულტურული მუშაობა მშრომელთა შორის, მკვეთრად გაუმჯობესონ მოსახლეობის კინომომსახურება და ოქტომბრის დიდი დღესასწაულისათვის მთლიანად უზრუნველყონ წლიური დავალების შესრულება. კინომექანიკოსების საოქტომბრო ვალდებულება ითვალისწინებს აგრეთვე საექსპლოატაციო ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას და სახელმწიფო სახსრების დაზოგვას, კინოფილმების სადემონსტრაციო მარშრუტების მტკიცედ დაცვას, კინოს ჩვენების ხარისხის გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების ფართო ჩვენებას სოფლის მოსახლეობისათვის.

ჩვენი რაიონის კულტურის მუშაკები პირნათლად შეასრულებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

ლ. ფელია,
წალენჯიხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

სამეცნიერო სესია ჩინელ სპეციალისტთა მონაწილეობით

ამ დღეებში თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და საქარის მევენახეობა-მეღვინეობისა და მებაღეობის საცდელმა სადგურმა საჩხერეში გამართეს გამსვლელი სამეცნიერო სესია. სესიას ესწრებოდნენ რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები — სულ 200-მდე კაცი.

სამეცნიერო სესიას ესწრებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტთა ჯგუფი: პროფესორი სე ძია-ძე, ინჟინერი ჩენ დაო-ხონი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჩენ ძია-ცი, რომლებიც საქართველოში სტუმრად იმყოფებიან სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის განვითარების საქმეში მიღწეულ წარმატებათა გასაცნობად.

სესიამ მოისმინა და განიხილა შემდეგი მოხსენებები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის შ. ცერცვაძისა — საჩხერის რაიონის აგროკლიმატური პირობები; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის გ. გაფრინდაშვილისა — აგროტექნიკური ღონისძიებანი ვაზის კულტურის განვითარებისათვის საჩხერის რაიონში; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ლ. კინწურაშვილისა — ღონისძიებანი ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისათვის; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის გ. დეკანოიძისა — ვაზის მავნებლები, ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლის ღონისძიებანი; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის კ. პაპინაშვილის და თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის აგრომეტგანყოფილების უფროსის ა. თევზაძისა — სოფლის მეურნეობის ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების ფორმები.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ს. ჭიხორიამ (მტს-ის დირექტორი), მ. ბერიძემ (არგვეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), გ. ლორთქიფანიძემ (ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე), ბ. გოგოლაძემ (ჭალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), დ. იაკობაშვილმა (ჩიხის კოლმეურნეობის მევენახე), მ. ვეფხვაძემ (სავანის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი), უ. ჯიხაძემ (მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი). სამეცნიერო სესიაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი ნ. კობახიძე.

სესიის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მოისმინეს ჩინელი პროფესორის სე ძია-ძეს სიტყვა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტებმა ინახულეს აკაკი წერეთლის სახლი-მუზეუმი სოფელ სხვიტორში. მათ მუზეუმს გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი — ქსოვილზე ამონაქარგი ხალხური შემოქმედების ნიმუში და მგრძნობიარე ჩანაწერი გააკეთეს მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში.

სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე საჩხერის ღვინის ქარხანა და კუროორტი ქვირეთი.

გ. პაპიძე,
საჩხერის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით“ რედაქტორი.

კეთილმოწყობილი ხდება სოფელი თეზი

წელს ბევრი რამ გაკეთდა სოფელ თეზის (ყასპის რაიონი) კეთილმოწყობად. მაისში სოფელმა მიიღო იგოეთჰესის შუქი. კოლმეურნეთა ბინები, სოფლის კულტურული კერები და საკოლმეურნეო ფერმები ილიჩის ნათურებმა გააჩიროდნა. ელექტროენერგია გამოყენებული იქნება აგრეთვე კოლმეურნეობის მთელ რიგ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

მოგვარდა სოფლის სუფთა, გემრიელი წყლით უზრუნველყოფის საქმეც. სოფელ ლამისყანიდან გამოყვანილ იქნა ე. წ. გურამიშვილის წყაროს წყალი. ახლა ეს წყალი გაჰყავთ ფერმებში და დასახლებულ პუნქტ ჩანგილარში.

მიმდინარეობს შიდასასოფლო გზებისა და ხიდბოგირების წესრიგში მოყვანა, ამ საქმეში კოლმეურნეობას ეხმარება სამთავისის მტს-ი.

გ. ბუნტური,
პარტიის ყასპის რაიკომის ინსტრუქტორი სამთავისის მტს-ის ზონაში.

ნაკლოვანებანი მგზავრთა მომსახურებაში

თბილისის ავტოსატრანსპორტო სადგურში ადრე დილადანვე დიდი გამოცოცხლებაა. აქ მრავალი მგზავრი იყრის თავს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში და რესპუბლიკის გარეთ გასამგზავრებლად.

სამწუხაროდ, აქ ყველაფერი რიგზე არ არის. იმასთან დაკავშირებით, რომ მრავალი მიმართულებით დაწესებულია მარშრუტები და ზაფხულში მგზავრთა რაოდენობაც დიდად გაიზარდა, სადგურის მცირე ტერიტორიის გამო გაუარესდა მგზავრთა მომსახურება. ახლა მგზავრებმა აღარ იციან სად ჩერდება ამა თუ იმ მიმართულებით მიმავალი ავტობუსი. წინათ აქ მგზავრებს აცნობდნენ მიმავალი ავტობუსების ადგილსამყოფელს, მგზავრთა ჩასხდომის დაწყებას და სხვ. უკანასკნელ ხანს ამისათვის თავს აღარავინ იწუხებს.

სადგურში არც სხვა მხრივ არის კარგად დაყენებული მგზავრთა მომსახურება. აქ არ არის ჟურნალ-გაზეთების გასაყიდი წესიერი კიოსკი, მოუგვარებელია გამაგრილებელი წყლით, პაპიროსით, სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა.

გ. დათუაშვილი.

მეჯი ყურადღება აგრონომიული სახელმძღვანელოების გამოცემას

ჩვენს რესპუბლიკაში წიგნის გამომცემლობის საქმე დიდად არის განვითარებული. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის და კერძოდ აგრონომიული სახელმძღვანელოების გამოცემა ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას. მაგალითად, პროფესორ ზ. ყანჩაველის ბოტანიკის სახელმძღვანელო, I და II ნაწილი, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის I და II კურსების სტუდენტები სწავლობენ, 1932 წლის შემდეგ არ გამოცემულა და მაშინაც გამოუცია 5.000 ცალის რაოდენობით. ეს წიგნი ახლა ბიბლიოთეკებშიც იშვიათად მოიპოვება.

ასევე უნდა ითქვას ნ. ლ. გლინკას ზოგადი ქიმიის სახელმძღვანელოზე, რომელიც 1946 წლის შემდეგ არ გამოცემულა.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის და კერძოდ სახელმძღვანელოების გამოცემას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ვ. ჯინჯოლავა.

ახმეტის რაიონი. სოფელ მატანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ხალმე ძეგველიშვილი და ნინო ოსკანოვა ხალიჩის განთქმული მქსოველები არიან. ფესტივალთან დაკავშირებით მათ მოქსოვეს ქართული ორნამენტებით დამშვენებული ხალიჩები. **სურათებზე:** ქვემოთ — ახალმოქსოვილი ხალიჩა; ხ. ძეგველიშვილი და ნ. ოსკანოვა ხალიჩის ქსოვის დროს.

ფოტო ი. ტორისა.

დაიწყეს და... მიაჯოვეს

ბორჯომის კურორტებს შორის სოფელ ტბას საპატიო ადგილი უჭირავს. აქ ზაფხულობით ბევრი მოგზაური ჩამოდის. ეწყობა პიონერთა ბანაკები და საბავშვო ბაღები.

ტბის სარკინიგზო ბაქანზე მატარებლის მომლოდინე მგზავრებს ძლიერ აწუხებთ ის მდგომარეობა, რომ წვიმის დროს ცდა ღია ცის ქვეშ უხდებათ. გაითვალისწინა რა მგზავრების მოთხოვნილება, რკინიგზის ხაშურის კვანძის ბინათა და ნაგებობათა დისტანციამ (უფროსი შ. რუხაძე) 1955 წელს დაიწყო ბაქნისათვის კაპიტალური შენობის აგება. სამი კედლის ამოყვანის შემდეგ მშენებლებმა საქმე მიატოვეს და უკვე რამდენიმე თვეა მის განახლებაზე აღარავინ ზრუნავს. რაც გაკეთებულია, ისიც ფუჭდება და ინგრევა.

სოფელ ტბის მოსახლეობა და მოაგარაკეები ბაქნის მშენებლობის დამთავრებას მოითხოვენ.

გ. ბუხრიკიძე,
წალენჯიხის სადგო საბჭოს თავმჯდომარე.

კლუბი უსკამოდ

ძველი სენაკი საბჭოთა ხელისუფლებას წლებში დიდად გალამაზდა, კეთილმოწყობილ სოფლად იქცა.

ამ რამდენიმე წლის წინათ აქ კლუბის შენობა კაპიტალურად შეაკეთეს და სოფლის მშრომელებმა მიიღეს კულტურის მნიშვნელოვანი კერა.

მაგრამ ორი წელი გავიდა ისე, რომ სკამების ნაცვლად მაყურებელს ჯდომა უხდება უბრალო ფიცრებზე, რადგან ვერ მოგვარდა საჯდომი ინვენტარის შეძენა. მართალია, ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა კლუბს სკამების შესაძენად 10 ათასი მანეთი გამოუყო, მაგრამ საავეჯო საწარმოებიდან „განრიგის უქონლობის გამო“ სკამებს არ იძლევიან. კლუბის გამგემ გ. დავითაიამ ბევრი იარა ხან ფოთსა და ხან მარელისში, სკამები კი მაინც არ არის.

საჭიროა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს მუშაკები დაეხმარონ ძველი სენაკის კლუბის ხელმძღვანელებს აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების საქმეში.

ნ. ბარბაქაძე,
ვ. მგელაძე.

ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენისათვის

განუხრელი აღმავლობის გზაზეა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, კულტურა. დღითიდღე იზრდება ახალი სამრეწველო სიმძლავრეები, ინერგება მოწინავე ტექნიკა, ვითარდება მეცნიერება.

ამიტომ ახლა საქართველოში განსაკუთრებით დიდია მოთხოვნილება ტექნიკურ ლიტერატურაზე, მწვავედ იგრძნობა ეროვნული ტექნიკური ტერმინოლოგიის გაფართოების საჭიროება.

ავიღოთ მაგალითისათვის ტექნიკის ისეთი დარგი, როგორიც არის ელექტროტექნიკა. ელექტროტექნიკას საქართველოში არც ისე მოკლე ხნის ისტორია აქვს. მეოთხედი საუკუნის წინათ ჩვენში რკინიგზის ტრანსპორტზე შემოღებულ იქნა ელექტროწევა, რომელიც სწრაფად განვითარდა. ელექტროწევის დარგში მომუშავე ახალგაზრდობა სპეციალობას უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე იღებს. ამან გამოიწვია ელექტროწევის საკითხებში ლიტერატურის შექმნა, წარმოიშვნენ და უკვე მოიპოვეს პოპულარობა ახალმა გამოთქმებმა და ტერმინებმა, რომლებსაც, საბუნაროდ, მასები ვერ იცნობენ იმიტომ, რომ ისინი საერთო ტექნიკურ ტერმინოლოგიაში შეტანილი არ არიან.

აუცილებლად საჭიროა შევაგროვოთ, გავცხრილოთ და დავაზუსტოთ ზოგი ტექნიკური გამოთქმა, რომლებმაც უკვე მოიპოვეს პოპულარობა მრეწველობის ცალკეული დარგების მუშაკებში. ასეთი ახალი გამოთქმები გვხვდება რუსთავის მეტალურგების, ტყვარჩელი მეშახტეების, მანქანათმშენებელი და ჩარხმშენებელი მუშების ყოველდღიურ მეტყველებაში.

ტექნიკური ტერმინოლოგიის უქონლობა აძნელებს ორიგინალური ტექნიკური ლიტერატურის შექმნისა და რუსულ ენაზე არსებულის თარგმნის საქმეს, იწვევს მეტყველების დამახინჯებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამოთქმების ენობრივ სიწმინდეს ოფიციალურ მიმოწერაში, აფიშების შედგენაში, აბრების წარწერებში, რომლებსაც ყველაზე მასობრივი მკითხველი ჰყავს.

ვ. სამხარაძე,
თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ინჟინერი.

ის, რაც ხელს გვიშლის საკოლმეურნეო მშენებლობაში

კოლმეურნე გლეხობა თავდადებით აბრძვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მისი პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლებისათვის.

კოლმეურნეთა მასების ამ კეთილშობილურ მიზანსწრაფვას, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის დაუღალავ ბრძოლას დიდად უწყობს ხელს პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვა კოლმეურნეობებისათვის. ეს მზრუნველობა აღაფრთოვანებს კოლმეურნეებს ახალი საგმირო შრომითი საქმეებისათვის.

ისეთ დიდ სოფელს, როგორიც არის კონდოლი (თელავის რაიონი) თავისი 800 კომლით, დღემდე არ ჰქონდა საშუალო სკოლა, კლუბი, აბანო.

აქამდე თუ საკოლმეურნეო მშენებლობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა, ახლა კოლმეურნეობაში გამოყოფილია კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადა, რომელშიც თავმოყრილია სოფლის ყველა ხელოსანი და მშენებელი. ამ ბრიგადამ 1955-1956 წლებში ააშენა 1.000 ტონის ტევადობის სასილოსე ტრანშეები, ერთი საწყნარი, ორი არყისსახდელი ქარხანა, დაიწყო კანტორის ორსართულიანი სახლის მშენებლობა, ააშენა მეცხვარეობის ფერმის ბინები საზამთრო საძოვრებზე, კაპიტალურად შეაკეთა მრავალი საზოგადოებრივი შენობა და ა. შ.

მარშან დავიწყეთ და ამჟამად გადასახურავად არის მზად ექვსრიგიანი სადრობის მშენებლობა 140 სულისათვის. ვიწყებთ მეღორეობას ფერმის და აბანოს მშენებლობას, რისთვისაც მზად გვაქვს ის მასალები, რომლებსაც ადგილზე ვაწარმოებთ.

იმასთან დაკავშირებით, რომ თელავის რაიონი გამოვიდა სასკოლო მშენებლობის საქმეში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად, ჩვენმა კოლმეურნეობამ იკისრა მიმდინარე წელს საშუალო სკოლის ძველი შენობისათვის მიეშენებინა 8 საკლასო ოთახი. მუშაობა დავიწყეთ და შენობა დასახურავად არის მზად, მაგრამ ზოგი საშენი მასალის უქონლობის გამო საქმე ამჟამად შეჩერებულია.

მაგალითად, ამჟამად კონსერვაციაშია კოლმეურნეობის კანტორისა და კლუბის, საძროხის, სკოლის და ზოგიერთი სხვა მშენებლობა. ამის მიზეზია ცუდი მუშაობა საშენი მასალების მომარაგების დარგში.

ძალიან გულით რომ გინდოდეთ, თელავის რაიკოოპკავშირის ქსელში ერთ კილოგრამ საარმატურე რკინასაც ვერ იშოვნით. აქ არ მოეპოვებათ ლურსმანი და დიუმნახევრიანი რკინის მილები ფერმაში ავტოსარწყულებლების მოსაწყობად, არსად იშოვნება ურმის რკინა, შიფერი ხომ იშვიათი სანახავი გახდა.

მაგრამ ყველაზე მეტი გაჭირვება მაინც ხე-ტყეზეა. ოთხი წელია, რაც კოლმეურნეობის კანტორისა და კლუბის ორსართულიანი შენობა დავამთავრეთ. როგორც იყო, მოვახერხეთ ამ 14-ოთახიან შენობაში ორ პატარა ოთახში პირველ სართულზე კოლმეურნეობის ბუხჰალტერია მოგვეთავსებინა და გამგეების წევრთა სამორიგეო ოთახი მოგვეწყო. დანარჩენი ოთახების დამთავრებას ხელს უშლის ხე-ტყის უქონლობა.

სკოლისათვის მიშენებული 8 ოთახიც კონსერვირებულია, რადგან ვერ ვშოულობთ ხე-ტყის მასალას კოჭებისა და იატაკისათვის. ასეთსავე მდგომარეობაშია საძროხე და სხვა მშენებლობები.

ცეკავშირს თელავში აქვს ხე-ტყის სარეალიზაციო საწყობი. მას განაგებს ივანე ყარაულაშვილი. ზის ეს პიროვნება საწყობში, დროს მთქნარებაში ან, ლუარსაბ თათქარიძისა არ იყოს, ბუზების თვლაში ატარებს. ან რა უნდა გააკეთოს, როცა საწყობის ეზოში თეთრი არყისხის რამდენიმე მორესა და დამპალი, უკონდიციო დახერხილი მასალის მეტი არაფერია!

იშვიათად, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც გამოერევა ხოლმე ყარაულაშვილისათვის „ბედნიერი დღე“, როცა თელავის რკინიგზის სადგურს მისი საწყობის სახელზე მოადგება მორებით დატვირთული ორი-სამი ვაგონი, და მხოლოდ მაშინ მიიღებს ხოლმე ამბავ. ყარაულაშვილი საქმიანი კაცის პოზას.

17 ივნისს ამ საწყობმა მიიღო 40 კუბმეტრი ხე-ტყე, მთლიანად დასახერხავი მორები. რაისაბჭოს აღმასკომიდან შეგვატყობინეს: თქვენს კოლმეურნეობას ცეკავშირის ხე-ტყის სარეალიზაციო ბაზის თელავის საწყობიდან გამოეყო 30 კუბმეტრი დასახერხი მასალა, მიაკითხეთ და გაიტანეთო. მადლობის მეტი რა გვეთქმოდა! მივაკითხეთ. ივანე ყარაულაშვილი კვლავ თავის „კაბინეტში“ იჯდა და ფიქრობდა. ფიქრობდა, თუ როგორ გაესტუმრებინა კლიენტი.

— ძლივს ვეღირსეთ, ამხანაგო ვანო, მასალას, არა? — შევეკითხეთ.

— არა... ჰო... ისე.—დაბნეულმა დაიწყო ყარაულაშვილმა, — ძალიან ცოტა მივიღეთ, რაღაც 30 კუბმეტრამდე.

— რას იზამთ, რაც არის, არის. გამოგვიწერეთ ანგარიში!

— ხომ იცით, ჩვენ სამ რაიონს ეუწევთ მომსახურებას, სამი რაიონის კოლმეურნეობებს. თქვენ შეიძლება ერთი კუბმეტრი მოგიწეროთ; ხათრით კი შემიძლია ხუთი მოგცეთ, — გვიპასუხა ყარაულაშვილმა და მრავალმნიშვნელოვნად თვალები ჭერს მიაპყრო.

— თუ ასეა, რა გაეწყობა, მოგვეცით ეგ ხუთი კუბმეტრი!

— მხოლოდ ერთი პირობით, — თავჩაღუნულმა ძლივს ამოილაპარაკა, — ჩვენ უნდა დავხერხოთ!

— მაშ ჩვენი სახერხი ქარხანა რის მაქნისია, — საკმაოდ თავშეკავებით შევესიტყვეთ ყარაულაშვილს, — მორიდან როგორი მასალაც გვჭირდება ისეთს გამოვაყვანთ. გთხოვთ დაუხერხავი გამოგვიწეროთ!

— არ იქნება, არა და არა! — გადაჭრით თქვა ვანომ, — ხარჯებს ხომ გასტუმრება უნდა, ჩვენ რომ დასახერხი მასალა გაგატანოთ, ხომ იცით...

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიცით, რა იგულისხმა ყარაულაშვილმა. მაგრამ მის მუშაობაში ეს პირველი შემთხვევა როდია. ამბობენ, მორად რომ გაყიდოს, მაშინ საწყობი „მშრალზე“ გამოდის, ხოლო თუ დახერხილს გაყიდის, „ხელმოსათბობი“ რამ რჩებათო.

ჩვენ მოვითხოვთ: ცეკავშირის ბაზებმა მოგვყიდონ ისეთი მასალა და ისეთი ხარისხისა, როგორიც გვჭირდება.

განა დრო არ არის დამყარდეს წესრიგი ცეკავშირის ხე-ტყის სარეალიზაციო ბაზებსა და საწყობებში?!

ვიმედოვნებთ, რომ ამ ჩვენს მოთხოვნას საქმიანად გამოეხმაურებიან ცეკავშირის ხელმძღვანელები.

ა. კოკილაშვილი,
თელავის რაიონის სოფ. კონდოლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა სტუმრებს

პრაღა, 11 ივლისი. (საკდესი). ყველა გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნას ჩეხოსლოვაკიაში.

დღეს ჩეხოსლოვაკიის ყველა ცენტრალური გაზეთი ათავსებს ანგარიშებს რესპუბლიკის დედაქალაქ პრაღაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის შეხვედრის შესახებ.

გაზეთი „რუდე პრავო" პირველ გვერდზე აქვეყნებს ანგარიშს ქალაქის ვაზლის მოედანზე გამართული მიტინგის შესახებ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ზაპოტოცკის სიტყვას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას, აგრეთვე ფოტოსურათებს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გუშინ ასეულ ათასობით პრაღელმა ცხადყო ურყევი ერთგულება საბჭოთა კავშირისადმი, მზარდი ურღვევი მეგობრობა მოძმე საბჭოთა ხალხთან. სტატიაში „პირველი საათები ოქროს პრაღაში" გაზეთი წერს: ჩვენი ხალხი გულმხურვალედ მიესალმება საბჭოთა დელეგაციის წევრებს როგორც თავის ღვიძლ ძმებს.

გაზეთი „ლიდოვე ნოვინი" ხაზგასმით აღნიშნავს: „ვერასოდეს და ვერავინ ვერ შეძლებს ძირი გამოუთხაროს და დაარღვიოს ჩვენი დიადი კავშირი!".

გაზეთი აქვეყნებს მრავალ ცნობას საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად ნაკისრი შრომითი ვალდებულებების შესახებ. ქალაქ ჩესკა ლიპაში ქარხანა „ჩკდ", რომელიც საბჭოთა კავშირს აწვდის რამდენიმე სახეობის ელექტროსაბურღავ ჩარხებს, დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით კისრულობს ვალდებულებას სსრ კავშირისათვის ამ ჩარხების მიწოდება დაამთავროს ვადაზე სამი თვით ადრე. ანალოგიური ვალდებულებანი იკისრეს ქალაქ ლიბერეცის ქარხანა „ტოკოს", „ჩკდ-დუკლას" და ბევრი სხვა ქარხნის კოლექტივებმა.

საბჭოთა სტუმრებს გულითადად მიესალმება აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის გლეხობა.

გაზეთი „პრაცე" მასალებს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ აქვეყნებს დიდი სათაურებით: „ჩვენში ჩამოვიდნენ სოციალიზმისა და მშვიდობის მოციქულნი".

გაზეთი „მლადა ფრონტა" ხაზგასმით აღნიშნავს: „ვერასოდეს და ვერავინ ვერ შეძლებს ძირი გამოუთხაროს და დაარღვიოს ჩვენი დიადი კავშირი!".

ბრაჯილავა ემზადება საბჭოთა კავშირის პარჯიისა და მთავრობის დელეგაციის შესახვედრად

პრაღა, 11 ივლისი. (საკდესი). როგორც პრაღის რადიო იუწყება, სლოვაკიის დედაქალაქი ბრატისლავა სიხარულით ელის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ჩასვლას. ქალაქის ქუჩები ძორთულია საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ალმებით. მაღაზიების ვიტრინებში, დაწესებულებების, საწარმოებისა და ბინების ფანჯრებში გამოკიდებულია ორივე სახელმწიფოს სახელმწიფო ალმები და საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო მოღვაწეთა პორტრეტები.

ბრატისლავის საწარმოთა კოლექტივები საბჭოთა დელეგაციისადმი წერილებსა და დეპეშებში აცხადებენ თავიანთ სიხარულს იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა სტუმრები მათს საწარმოებს უნდა ეწვიონ.

ინდოეთის პრესა საბჭოთა კავშირის პარჯიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიჯის შესახებ ჩეხოსლოვაკიაში

დელი, 11 ივლისი. (საკდესი). გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტს ჩეხოსლოვაკიაში. დღეს დელის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა პრაღაში საბჭოთა დელეგაციის ჩასვლის შესახებ. აღნიშნავენ უაღრესად გულთბილ შეხვედრას, რომელიც ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა მოუწყეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს. გაზეთები დიდი სათაურებით და თვალსაჩინო ადგილებზე აქვეყნებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ პრაღაში წარმოთქმული სიტყვის შინაარსს.

მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 36-ე წლისთავი

ულან-ბატორი, 10 ივლისი. (საკდესი). დღეს მონღოლეთში დაიწყო სახალხო რევოლუციის 36-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული. მონღოლი ხალხი ზეიმით აღნიშნავს სოციალისტური გზით მონღოლეთის განვითარების 36-ე წლისთავს.

ეს გზა ადვილი როდი იყო. მონღოლი ხალხი ამ გზაზე ხვდებოდა ახალი წყობილების მტრების წინააღმდეგობას, მაგრამ საბჭოთა კავშირს ძმურ დახმარებაზე დაყრდნობით მან განვლილ 36 წელიწადში დიდი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

დღეს დილით სუხე-ბატორის სახელობის მოედანზე გაიმართა სამხედრო პარადი და ძშრომელთა დემონსტრაცია. დღის მეორე ნახევარში დედაქალაქის მიდამოებში, სადაც გაშენებულია პატარა ქალაქი ყოველგვარი შენობებითა და სასპორტო მოედნებით, აღიმართა სახალხო დღესასწაულის „ნადომის" ალამი. ულან-ბატორის მცხოვრებნი და მონღოლეთის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული არატები უყურებდნენ მოჭიდავეთა შეჯიბრებას, ათვალიერებდნენ გამოფენებს, რომლებიც ასახავენ მონღოლეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას სახალხო ხელისუფლების წლებში.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ა. უ. ხასალოვის მეთაურობით, რომელიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება, აგრეთვე ჩინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბოლონეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რუმინეთიდან, ინგლისიდან, იაპონიიდან და მთელი რიგი სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები.

დღეს საღამოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა ქალაქს გარეთ რეზიდენციაში მოაწყო დიდი დარბაზობა მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 36-ე წლისთავის გამო.

„14 ივლისი გადავაქციოთ ფაშისტური საფრთხის წინააღმდეგ რესპუბლიკელთა ერთობის დღედ"

პარიზი, 10 ივლისი. (საკდესი). ამასთან დაკავშირებით, რომ 14 ივლისს პარიზის სამხედრო პარადში ეროვნული დღესასწაულის გამო მონაწილეობას მიიღებენ გენერალ მასიუს საჰეროსადესანტო ქვეგანაყოფები, რომლებმაც სავალალო სახელი მოიხვეჭეს ალჟირში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა სისტლისეულით, კომუნისტური პარტიის სენის დეპარტამენტის ოთხმა ფედერაციამ სოციალისტური პარტიისა და რადიკალთა პარტიის ფედერაციებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდებს მათ „14 ივლისი გადააქციონ რესპუბლიკელთა ერთობის დიდ დღედ". „მასიუს და მისი პარაშუტისტების ჩამოსვლა, — ნათქვამია წერილში, — ხელსაყრელია რესპუბლიკის მტრებისათვის, რომლებიც როგორც ალჟირში, ისე პარიზში მოთავეობენ, რომ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგეს სამხედრო ხროვა. იგი აქეზებს ფაშისტთა ჯგუფებს, რომლებიც ახშირებენ თავდასხმას დემოკრატიული ორგანიზაციების სადგომებსა და კრებებზე... ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენმა ფედერაციებმა უნდა მოუწოდონ პარიზისა და სენის დეპარტამენტის მოსახლეობას ფიზიზლად იყოს ეროვნული დღესასწაულის დროს". წერილში აგრეთვე მოთხოვნილია გამორკვეულ იქნას კომუნისტების, სოციალისტებისა და რადიკალების ერთობლივი მოქმედების ხასიათი.

შეიარაღებული შეტაკება სირია-ისრაელის საზღვარზე

დამასკო, 10 ივლისი. (საკდესი). როგორც დამასკოს რადიომ გადასცა, სირიის სამხედრო წარმომადგენელმა გუშინ განაცხადა, რომ ისრაელის ნაწილებმა 9 ივლისს ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს სირიის ტერიტორიას. მიუხედავად სირია-ისრაელის დაზავების შერეული კომისიის ოფიცერთა ბრძანებისა შეეწყვიტათ ცეცხლი, თქვა სამხედრო წარმომადგენელმა, ისრაელის ნაწილებმა ნაღმსატყორცნების სროლა განაგრძეს საათნახევრის განმავლობაში.

არიან დაჭრილები, მათ შორის ბავშვები და ქალები.

4 საათის შემდეგ ისრაელის მხარემ კვლავ ატეხა სროლა და ნახევარ საათს აწარმოებდა მას.

ინგლისელ სამხედრო მოსამსახურეთა ხულიგნური საქციელი კოლომბოში

დელი, 10 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის სააგენტო პრეს ტრასტ ოფ ინდია კოლომბოდან იუწყება სამი ინგლისელი სამხედრო მოსამსახურის ხულიგნური საქციელის შესახებ; მათ 4 ივლისს საბჭოთა კავშირის ელჩი ჩამოგლიჯეს ავტომანქანას, რომელიც კოლომბოში სსრ კავშირის საელჩოს ეკუთვნოდა. ამ ინციდენტთან დაკავშირებით პოლიციამ დააპატიმრა ერთი ინგლისელი ოფიცერი, რომელიც ახლა გამოშვებულია საწინდრით. ორმა სხვა სამხედრო მოსამსახურემ ცეცლონი დატოვა.

ოფიციალურ წრეებში იუწყებიან, რომ ცეილონის მთავრობამ და ინგლისის უმაღლესმა კომისარიატმა ცეილონზე ბოდიში მოიხადეს საბჭოთა კავშირის საელჩოს წინაშე.

კალიის შესევა ჩრდილოეთ აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის რაიონებში

რომი. 11 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა ორგანიზაციის ცნობით, ჩრდილოეთ აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის რაიონებში შემჩნეულია მოსავლისათვის დამღუპველი კალიის შესევა, რომელიც ყველაზე ძლიერია უკანასკნელ 30 წელიწადში. განსაკუთრებით დაზარალდნენ ლიბია, ტუნისი, სუდანი, სომალი, არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილები.

ორგანიზაციამ გააფრთხილა ახლო იმდებარე ქვეყნები, რომ შესაძლებელია კალიის შემდგომი ადგილგადანაცვლება.

ირანის წითელი ლომის და მზის საზოგადოების თავმჯდომარეს მის უმაღლესობას პრინცესა შამს ფეჰლევის

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტისა და საზოგადოების ყველა წევრის სახელით გულწრფელად თანავუგრძნობ თქვენი ქვეყნის ხალხს სტიქიური უბედურების — დამანგრეველი მიწისძვრის გამო, რომელიც ჩრდილოეთ ირანში მოხდა. დაზარალებულთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად აღმასრულებელმა კომიტეტმა თქვენს საზოგადოებას გამოუყო 50 ათასი მანეთი. საბჭოთა წითელი ჯვრის საავადმყოფო თეირანში მზად არის შეძლებისდაგვარი მონაწილეობა მიიღოს დაზარალებულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევაში.

დიდი პატივისცემით,

პროფესორი მიტერევი,

საბჭოთა წითელი ჯვრის თავმჯდომარე

1957 წლის 10 ივლისი.

საბჭოთა კავშირმა დახმარება გაუწია მიწისძვრისაგან დაზარალებულ ირანში

თეირანი, 11 ივლისი. (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ სსრ კავშირის ელჩი ირანში ნ. მ. პეგოვი გუშინ ეწვია ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს არდალანს და საბჭოთა მთავრობის სახელით დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა ირანის მთავრობასა და ხალხს სტიქიურ უბედურებასთან — მიწისძვრასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა ირანის მთელ რიგ რაიონებში.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ნ. მ. პეგოვმა 50 ათასი მანეთი (დაახლოებით 1 მილიონი რიალი) გადასცა ირანის წითელი ლომის და მზის საზოგადოებას მიწისძვრისაგან დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ფონდისათვის.

იზაღლის ხელისუფლებამ ხელი შეუშალა საბჭოთა წარმომადგენლებს მონაწილეობა მიეღოთ არამთავრობის ორგანიზაციების ევროპის კონფერენციაში

1957 წლის 22 ივნისს არამთავრობის ორგანიზაციების ევროპის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ მოიწვია, რომში უნდა გაფრენილიყო საბჭოთა კავშირის არამთავრობის ორგანიზაციების დელეგაცია სსრ კავშირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ასოციაციის გამგეობის წევრის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ს. ა. გოლუნსკის მეთაურობით.

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო დაპირებული იყო საჭირო ხელმეწყობა გაეწია საბჭოთა დელეგატებისათვის იტალიის ვიზების მიღებაში, იტალიის საელჩო მოსკოვში 26 ივნისამდე იმას იმოწმებდა, რომ სათანადო ინსტრუქცია არ ჰქონდა, და მხოლოდ 26 ივნისს, ე. ი. კონფერენციის დამთავრების დღეს, გვაცნობა, რომ მზად არის მისცეს ვიზები.

ამრიგად, სსრ კავშირის დელეგატებს წაერთვათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ რომის კონფერენციაში და გამოეთქვათ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობის თვალსაზრისი საკითხებზე, რომლებიც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწეები შავი ზღვის სანაპიროზე

სოხუმი, 11 ივლისი. (საკდესი). დღეს საღამოს სოხუმში ჩამოვიდნენ საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილეები ედვარდ კარდელი და ალექსანდრე რანკოვიჩი, სერბიის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე ივან ვესელინოვი და სახელმწიფო მდივნის მოადგილე ეროვნული თავდაცვის საქმეთა დარგში ოტმარ კრეიჩიჩ მეუღლეებითურთ. ისინი დასასვენებლად იმყოფებიან შავი ზღვის სანაპიროზე. სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი, იყვნენ ბოტანიკურ ბაღში და კოლმეურნეობებში.

საბჭოთა ეურნალისტების კავშირის საორგანიზაციო ბიუროში

ამა წლის 11 ივლისს გაიმართა საბჭოთა ეურნალისტების კავშირის საორგანიზაციო ბიუროს სხდომა, რომელმაც განიხილა ეურნალ „სოვეტსკაია პეჩატის" მუშაობის საკითხი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ბ. ს. ბურკოვმა, ვ. ს. პოდკურკოვმა (ეურნალის რედაქტორი), ი. ფ. შიპილოვმა, ა. ვ. სოფრონოვმა, ს. ბ. სუტოცკიმ, ა. ი. ლანგფანგმა, დ. ბ. გორიუნოვმა, ნ. გ. პალგუნოვმა და სხვებმა.

საბჭოთა ეურნალისტების კავშირის საორგანიზაციო ბიურომ მიიღო მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია ეურნალის გაუმჯობესება, რათა დამთავრდეს მისი გადაქცევა საბჭოთა ეურნალისტების მებრძოლ პროფესიულ ორგანოდ, რომელიც ხელს შეუწყობს საბჭოთა პრესის მუშაკთა ოსტატობისა და იდეური დონის ამაღლებას.

ფესტივალის ლაურეატები

საქართველოს ახალგაზრდობის პირველ ფესტივალში გამარჯვებული მრავალი თვითმოქმედი ხელოვანი და პროფესიონალი მსახიობი მიიღებს მონაწილეობას ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალში, მოსკოვში.

ამ დღეებში მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის სალაურეატო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ინდივიდუალური შემსრულებლები და მცირე ფორმის ანსამბლები (8 კაცამდე). ჩვენი რესპუბლიკიდან კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის 31-მა ლაურეატმა. მათ დიდ წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 10 ახალგაზრდა დაჯილდოებულია ოქროს მედლით, 10 ვერცხლის, ხოლო 2 ბრინჯაოს მედლით. მათ მოიპოვეს საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის ლაურეატის სპეციალური წოდება.

სალაურეატო კონკურსის ეიფორიმ მაღალი შეფასება მისცა და ოქროს მედლებით დაჯილდოვა თბილისის სტუდენტთა კლუბთან არსებული მომღერალთა ჯგუფი „შვიდკაცა". ამ ახალგაზრდული ჯგუფის შემადგენლობაში არიან — გიორგი გუგუშვილი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი), მიხეილ შავიშვილი (მასწავლებელი), მამია ხაღელიშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი), ჯონდო მიქელაძეშვილი და თენგიზ კორინთელი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები), ვანო მაჭავარიანი და თენგიზ კახიძე (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები). ახალგაზრდა მომღერალთა ჯგუფს ხელმძღვანელობს კონსერვატორიის სტუდენტი ჯანსუღ კახიძე, რომელიც აგრეთვე დაჯილდოებულია ოქროს მედლით. სალაურეატო კონკურსში გამარჯვებულთა დასკვნითს კონცერტზე, რომელიც დიდი თეატრის ფილიალში გაიმართა, განსაკუთრებული წარმატება ხვდა „შვიდკაცას" მიერ შესრულებულ ხალხურ სიმღერას „ხასანბეგურას". მაყურებელი ხანგრძლივი ტაშით მოითხოვდა სიმღერის გამეორებას. ქართველმა ახალგაზრდებმა მაყურებელთა მოთხოვნის პასუხად შეასრულეს იმერული სახუმარო სიმღერა „სიყვარული არ იქნება ძალადა", რომელმაც აგრეთვე დიდი მოწონება დაიმსახურა.

„შვიდკაცამ" ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალის სალაურეატო კონკურსში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

სალაურეატო კონკურსში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალგაზრდა სოლისტებმა. ბალეტის მსახიობმა ლ. მითაიშვილმა და მომღერალმა ზ. ანჯაფარიძემ მოიპოვეს ოქროს მედლები. ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულ იქნენ მომღერლები მ. ამირანაშვილი, ნ. ანდღულაძე, თ. მუშკუდიანი და ი. შუშანია, ხოლო ბრინჯაოს მედლებით — მომღერლები ა. მურადოვა და ა. კაციშვილი. ამ ახალგაზრდა სოლისტთაგან მეექვსე მსოფლიო ფესტივალის სალაურეატო კონკურსში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ზ. ანჯაფარიძემ, ნ. ანდღულაძემ, თ. მუშკუდიანმა და ი. შუშანიამ.

საქართველოს ფილარმონიის მსახიობთა ტრიომ ც. ციცქიშვილის, ე. აფხაზავას და ე. კირვალიძის შემადგენლობით მოიპოვა ვერცხლის მედლები. ასევე ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა საქართველოს ფილარმონიის მსახიობთა მეორე ტრიო ჭ. გოძიაშვილის, ვ. მაკარაძის და გ. დათუაშვილის შემადგენლობით.

სალაურეატო კონკურსში, ასაკის მცირეწლოვანების გამო, კონკურსს გარეშე მონაწილეობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე 11 წლის ლიანა ისაკაძე. ნორჩმა მევიოლინემ მაყურებლისა და ეიურის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ სალაურეატო კონკურსის მონაწილე — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ზ. ანჯაფარიძე დიდი თეატრის მიწვევით 8 ივლისს წარმატებით გამოვიდა ოპერა „კარმენში". სახელგანთქმულ სოლისტთა გვერდით ახალგაზრდა მსახიობმა ჩინებულად შეასრულა ხოზეს პარტია.

ამ დღეებში თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრნენ საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის ლაურეატი მხატვრული კოლექტივები — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ქართული ხალხური საკრავების ორკესტრი (ხელმძღვანელი კ. ვაშაკიძე), საქართველოს ცენტრალური კულტურის სახლის ლენინური კომკავშირის სახელობის ქართული ცეკვების ანსამბლი (ხელმძღვანელი გ. დარახველიძე) და საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საუსტრადო ანსამბლი (ხელმძღვანელი ი. ტუღუში).

უახლოეს დღეებში ეს კოლექტივები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის მხატვრული კოლექტივების სალაურეატო კონკურსში.

გ. ძნელაძე.

* * *

სურათზე: მომღერალთა ჯგუფი „შვიდკაცა". მარჯვნიდან პირველი, ჯგუფის ხელმძღვანელი ჯ. კახიძე.

ფოტო ი. მღებრიშვილისა.

ა. მ. გოცირიძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ დოცენტმა ალექსანდრე მიხეილის-ძე გოცირიძემ ლენინგრადის სანიტარულ-ჰიგიენური სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მასალები ტალღისებური ტეტანუსის შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. მ. გოცირიძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ტრამვაის მატარებლები ახალი მარშრუტებით ივლიან

რამდენიმე დღეა ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების [illegible] გამლილ [illegible] ტრამვაის [illegible] — [illegible] ავარეს, მიწა გათხარეს, ტრამვაის ტრამვაის [illegible] [illegible] [illegible]